140
2001 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული

ამიერიდან სიგარეტს მინისტრიც შეეშვება ◆ დონია კისოტი და სხვები ◆ „იქორი" – ქართული ცეკვის უკვდავება ◆ გაზეთი ლტოლვილი ბავშვებისათვის ◆ ტესტი თინეიჯერებისათვის ◆ სანთლების ჰოროსკოპი ◆ რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი ◆ სიცილის გაკვეთილი.

ანანური

ანანურო,
ანანურო,
შე სიმკვიდრით თამარულო,
ახლაც თაღებკამარულო.
საგურამოს კაკლის შტოო,
ვაზის რქაო, სამამულო,
ანანურო,

ანანურო!
ანანურო,
სანანურო!
სისხლით, ცრემლით დანამულო!
ერთიც უნდა აგვამღერო,
ისევ გაგვასალამურო!

ზაქარია შერაზადაშვილი

„ნაკადული"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი
2001 წ. № 4
გამოდის 1926 წლიდან

140
2001

ნომრის შინაარსი

"ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო "ფაქტი" - 2
ამიერიდან სიგარეტს მინისტრიც შეეშვება - 3
"იქორი" - ქართული ცეკვის უკვდავება - 4
დონია კიხოტი და სხვები (მოთხრობა) - 6
მსოფლიო კიდით კიდემდე - 10
რას წარმოადგენს "მაკდონალდსი" (კითხვა - თქვენი, პასუხი - ჩვენი) - 11
იყვირეთ, ბიჭებო: "... აფხაზეთი ჩემი" - 12
ჭორიკანა ხარ, თუ არა? (ტესტი თინეიჯერებისთვის) - 14
თხუნელა (ბუნების კარი) - 16
ვიჭორინა ჭკვიის კოლოფებისთვის - 17
მინდა, რომ კონკიას დედინაცვალიც კეთილი იყოს - 18
რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი - 19
რატომ ურტყამს ჩაქუჩი ლურსმანს (ზღაპარი) - 20
ძმების თამამი განაცხადი - 22
აკაკი შანიძე ("მშრომელ[illegible] წარ[illegible]ს [illegible] [illegible]ა[illegible]შრომი ჰგიეს") - 23
"ოდოშხერი" (მოსწავლეთა შემოქმედება) - 24
იცოდით, რომ... - 2[illegible]
???? - 26
ოზონის ხვრელი - 27
ჩვენი ენციკლოპედია - 28
სიცილის გაკვეთილი - 29
ესეც თქვენი უილიამი! (პრინცები და პრინცესები) - 30
მერწყულმა შავი სანთელი დაანთოს, ღრიანკალმა კი – წითელი (ჰოროსკოპი) - 31

21 974

რედაქტორი მანანა გელაშვილი
მისამართი: 380096, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.
ინდექსი: 76157.
ფასი სახელშეკრულებო
რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაქტი

"ნაკადულის" საინფორმაციო საბჭოენტო

ამაო განგაში

პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორს ვიდაც მამაკაცმა დაურეკა და გააფრთხილა, თქვენი სასწავლებლის შენობაში ნაღმიაო.

ანონიმური სატელეფონო ზარის შემდეგ შენობა რამდენიმე წუთში დაიცალა. დირექტორის მიერ გამოძახებულმა პოლიციელებმა შენობაში ვერაფერი აღმოაჩინეს. სატელეფონო ზარის ავტორი პროვოკატორი გამოდგა.

მეჯიდოობის მეცენგლოგის სემინარი

აფხაზეთის სხვადასხვა რაიონის 8 მოსწავლემ (მათგან 5 აფხაზმა, 1 ქართველმა გალის რაიონიდან, 1 რუსმა და 1 სომეხმა) და აფხაზეთიდან დევნილმა ამდენივე მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო აშშ-ს ქალაქ ატლანტაში "კარტერის ცენტრში" გამართულ "მშვიდობის მშენებლობის სემინარში". ამგვარი სემინარები პერიოდულად იმართება ამერიკის საერთაშორისო ,ანვითარების სააგენტოს, ამერიკის განათლების განვითარების აკადემიის მხარდაჭერითა და ორმხრივი ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის ხელშეწყობით.

სწავლება თეატრის სცენიდან

ახალგაზრდა რეჟისორ ნიკა ველიძის ჩანაფიქრით, საგანმანათლებლო თეატრში, რომლის შექმნასაც ის აპირებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ამსახველი სპექტაკლები დაიდგმება. რეჟისორს მიაჩნია, რომ სპექტაკლები, რომლებზეც ამა თუ იმ საგნის შესასწავლი მასალები იქნება წარმოდგენილი, საგრძნობლად გაუადვილებს მოსწავლეებს მათ შესწავლას. ამგვარ წარმოდგენებში მონაწილეობისთვის ბავშვთა ქალაქ "მზიურში" უკვე არსებობს თეატრალური დასი, რომელიც მზად არის ხორცი შეასხას ნ. ველიძის საინტერესო ჩანაფიქრს. ახლა საქმე წამოწყების დაფინანსებაზეა.

რუსთაველი უფროსკლასელები სწავლის ფულს აღარ გადაიხდიან

რუსთავის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მომდინარე წლის აპრილიდან მოყოლებული, ამ ქალაქის საშუალო სკოლების მეათე და მეთერთმეტე კლასელები აღარ გადაიხდიან სწავლის ფულს, რომელიც თვეში 10 ლარს შეადგენდა. ქ. რუსთავის 2001 წლის ბიუჯეტში მოხერხდა საშუალო სკოლების დასაფინანსებელი 118 ათასი ლარის გამოყოფა და სწავლის გადასახადის გაუქმებაც ამის წყალობთ გახდა შესაძლებელი.

თითო დოლარი ბავშვებისათვის

ამერიკული კომპანია "შერატონის" და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროგრამის მიზანია სტარვუდის ქსელის სასტუმროების ყოველი სტუმრისგან იუნისეფის იმუნიზაციის პროგრამის განსახორციელებლად თითო დოლარის მიღება. ეს იდეა 5 წლის წინათ გაუჩნდა "შერატონის" ვიცე-პრეზიდენტს რობერტ სკოტს. დღეს იდეა სახელწოდებით "ერთი დოლარი ბავშვებისათვის" მსოფლიოს 120 ქვეყნის 155 სასტუმროში ხორციელდება. შარშან მათ რიცხვს ჩვენი "შერატონ მეტეხი პალასიც" შეუერთდა.

ინიციატივის განხორციელების მექანიზმი ასეთია: შერატონის სასტუმროებში გაჩერებულ სტუმრებს გამგზავრების წინ ბალიშის ქვეშ ხვდებათ შოკოლადი და ბუკლეტი იმუნიზაციის პროგრამით და ამ პროგრამისთვის ერთი დოლარის გაღების მოწოდებით ცხადია, ბავშვთა იმუნიზაციისთვის დოლარს არავინ იშურებს, ის კი არა, უმრავლესობა ბევრად მოზრდილ თანხასაც იმეტებს. სადღეისოდ მთელ მსოფლიოში ამ გზით შეგროვილი თანხა ხუთ მილიონ დოლარს შეადგენს. საქართველოს "შერატონიდან" იუნესკოში 4583 დოლარი შევიდა.

ინვალიდ სპორტსმენთა გამარჯვება

ამერიკის ქალაქ ანკორიჯში გამართულ ინვალიდ ბავშვთა ზამთრის სპეციალიზებულ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ოთხივე ქართველმა სპორტსმენმა დიდი წარმატებით იასპარეზზე. მათგან შოთა გოცირიძემ სამი ოქროს მედალი მოიპოვა, ირინე ჯაფარიძემ - ორი ოქროს მედალი, ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა ნინო თევზაძე, ნოდარ მოსიაშვილმა კი ერთი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ჩვენი მოზარდების ამ ტურნირში მონაწილეობა "თბილუნივერსალბანკის", სადაზღვევო კომპანია "ალდაგისა" და ფიჭური კავშირის "მეგაკომის" ფინანსური დახმარების წყალობით გახდა შესაძლებელი.

500-500 ლარი - გამარჯვებულებს

დაჯამდა გასულ შემოდგომაზე პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას და პარლამენტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცენტრის ინიციატივით გამოცხადებული კონკურსის "ვსწავლობთ დემოკრატიას" შედეგები. კონკურსის მონაწილე 25 უფროსკლასელი ფულადი პრემიებითა და დიპლომებით დაჯილდოვდა. პირველი ხარისხის პრემია და 500-500 ლარი სამმა მათგანმა დაიმსახურა, დანარჩენებს მეორე და მესამე პრემიები და შესაბამისად 250 და 100 ლარი ერგოთ.

ამიერიდან სიგარეტს მინისტრიც შეეშვება

სიგარეტის მწეველთა რაოდენობით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. დადგენილია, რომ ჩვენს ქვეყანაში 2 მილიონი ადამიანი ეწევა, მათგან თითქმის ნახევარს მოზარდები შეადგენენ. დღეს, მაშინ, როცა რიგ ქვეყნებში მასობრივად ანებებენ თავს სიგარეტს და შეურიგებელ ბრძოლას უცხადებენ ამ მავნე ჩვევას, ჩვენთან ბოლო 10 წელიწადში მწეველთა რაოდენობა ორჯერ და მეტად გაიზარდა. დღევანდელი სავალალო კი არა, უკვე საგანგაშო მდგომარეობა იმაზე მეტყველებს, რომ ერთი მილიონი მწეველი 12-16 წლის ასაკის ბავშვის სახით საქართველოს ნიკოტინით გაჟღენთილი, ფილტვებდამჭვარტლული, პოტენციურად ავადმყოფი თაობა ეზრდება, ხოლო ეს ის თაობა გახლავთ, რომელმაც ხვალ



სამშობლოს უნდა უპატრონოს.

ამ არასახარბიელო საერთო ფონზე უთუოდ მისასალმებელია თამბაქოს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ღონისძიება, თუნდაც პლაკატებისა და ესეების კონკურსი თემაზე "საქართველო — თამბაქოს გარეშე".

პრეზიდენტის ბრძანებულებით და განათლების სამინისტროს ძალისხმევით ორგანიზებულ კონკურსში

თითქმის მთელი საქართველოს მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. მათი ნამუშევრები ელენე ახ-

საგანგაშო სტატისტიკა

თბილისის სკოლების მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ 14-17 წლის ბიჭების 67,6 და ამავე ასაკის გოგონების 49,4 პროცენტი სიგარეტს ეწევა. ამასთან ბიჭების 30 პროცენტი დღეში 10-დან 30 ღერამდე სიგარეტს ეწევა, გოგონებში ეს მაჩვენებელი 13,7 პროცენტს აღწევს. ასევე საგანგაშოა ნარკოტიკებთან დაკავშირებული მაჩვენებლები: სხვადასხვა ნარკოტიკულ ნივთიერებას ხმარობს ამ ასაკის ბიჭების 7,3 და გოგონების 0,8 პროცენტი. ბიჭების 90,9 და გოგონების 65,4 პროცენტი — ასეთია ალკოჰოლური სასმელების მომხმარებელთა რაოდენობა, ამასთან თურმე 14-17 წლის გოგო-ბიჭები ყველა სასმელს არაყს ამჯობინებენ.

ლედიანის სახელობის თბილისის ბავშვთა სურათების გალერეაში გამოიფინა.

გამოფენის დახურვის დღეს მას სხვა სტუმრებთან ერთად საქართველოს განათლების და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებიც ეწევი-



ვნენ. კონკურსზე წარმოდგენილი 15 საუკეთესო ნამუშევრის ავტორები ბავშვთა სურათების გალერეის, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის პარლამენტის მიერ დაწესებული წამახალისებელი სიგელ-დიპლომებითა და წიგნებით დაჯილდოვდნენ.

ნომინაციაში "პლაკატი" ჟიურიმ საუკეთესოდ სამტრედიის რაიონის სოფელ კორმაღალის მე-10 კლასის მოსწავლის ნიკა თევზაძის ნამუშევარი ცნო, ნომინაციაში "ესე" კი —

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლის რაჯი ფილიპიას ნანარმოები.

გარდა სიგელ-დიპლომებისა, გამარჯვებულები თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მიერ შეძენილი ვოლქმენებით, წიგნებითა და რადიოებითაც დასაჩუქრდნენ.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ საქართველოს განათლების მინისტრმა ალეკო კარტოზიამ განაცხადა, რომ ალბათ, ამიერიდან თვითონაც შეეშვება სიგარეტს.

“იქორი” – ქართული ცეკვის უკვდავების სიმბოლო

— ხალხურ ცეკვაში ხალხის ისტორიაცაა, ეთნოგრაფიაც, ხასიათიც, წეს-ჩვეულებებიც და კულტურაც. ამიტომაც ცეკვას რომ ასრულებს, მოცეკვავე მარტო ქორეოგრაფიული ტექსტის ინტერპრეტირებას კი არ ახდენს, არამედ თავისი ქვეყნის ისტორიასაც უყვება მაყურებელს, მშობელი ხალხის კულტურასა და სულიერ სამყაროსაც აცნობს მას, და მისი ოსტატობა მარტო ამა თუ იმ ილეთ-მოძრაობის შესრულების ოსტატობით კი არ ფასდება, არამედ ყოველივე ამის ცეკვის ენაზე მოთხრობის უნარითაც, და ეს უნდა გვახსოვდეს ყველას პირველეს ყოვლისა... — ამ სიტყვებით მოძღვრავს ყოველ ახალმოსულს ანსამბლ “იქორის” მხატვრული ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი, წარსულში სახელგანთქმული მოცეკვავე თეიმურაზ ხოზაშვილი და ამ ჭეშმარიტების გასიგრძეგანებას მოითხოვს ანსამბლის ყოველი წევრისგან.

დარბაზში შუქი ქრება, იხდება ფარდა, ისმის მუსიკა და... იწყება ქართული ცეკვების განუმეორებელი ფეიერვერკი. ახალი ქორეოგრაფიული მიგნებებით ზომიერად, ტაქტიანად და გემოვნებით გამრავალფეროვნებული ქართული ხალხური ცეკვების წარმოდგენა — საოცრად რიტმული, დახვეწილი მოძრაობები, გაფრენასავით ნახტომები, ვაჟკაცური მოძრაობები, ელვისებრი ტრიალი, გასმები, ცერული და ქალთა ცეკვების ნარნარი ფეერია - სუნთქვაშეკრული ადევნებს თვალს მაყურებელი ამ ზღაპრულ სანახაობას, მერე კი დარბაზი ერთბაშად აფეთქდება აპლოდისმენტებით. ტაში დიდხანს არ წყდება, მოცეკვავეებს კვლავ და კვლავ იხმობენ სცენაზე, გამეორებას თხოვენ და ისინიც ცეკვავენ...

ასეა ხოლმე ანსამბლ “იქორის” ყოველი გამოსვლის დროს.

“იქორი” დღევანდელი სახით 1995 წლის მიწურულს ჩამოყალიბდა. მანამდე არსებობდა ქორეოგრაფიული თეატრი-სტუდია, რომელსაც მზია ყანჩაველი და თეიმურაზ ხოზაშვილი ხელმძღვანელობდნენ. დროთა განმავლობაში კი ცხადი გახდა, რომ ცალკე ანსამბლის შექმნის იდეა ხორცშესხმას მოითხოვდა და ქალბატონი მზიას და ბატონ თეიმურაზის შეთანხმებით ეს ნაბიჯი გადაიდგა.

ანსამბლის უწვეულო სახელწოდებას მისი ხელმძღვანელი ასე ხსნის: “ლევან სანიკიძის “უქარქაშო ხმლებს” რომ ვეითხულობდი, იქ შეშეხვდა სიტყვა “იქორი”, სიმართლე გითხრათ, მანამდე არც ვიცოდი, თუ ასე ერქვა უკვდავ სისხლს, რომელიც ბერძნული ღმერთების ძარღვებში ჩქეფდა. დავინტერესდი და ბატონ ლევანთან პირადი შეხვედრის დროს ჩავეკითხე, მან კი დამატებით ასეთი ამბავიც მიამბო: ძმიმედ დაჭრილ ალექსანდრე მაკედონელს ტკივილისგან გმინვა აღმოხდომია, ხოლო როცა ექიმებისთვის გაოცება შეუნიშნავს, ღიმილით უთქვამს, თქვენ ღმერთი გეგონეთ, მე კი ძარღვებში ჩვეულებრივი ადამიანის სისხლი მიდგას და არა იქორიო... მე სიტყვა იქორი უკვდავების სიმბოლოდ აღვიქვი და რადგანაც ყოველი ჩვენი მოცეკვავის უპირველესი მიზანი ქართული ცეკვის უკვდავყოფაა, გადავწყვიტე ჩვენი ანსამბლისთვის სწორედ “იქორი” მეწოდებინა.

დღეს თეიმურაზ ხოზაშვილის 40-მდე აღსაზრდელი ემსახურება ამ დიდ მიზანს. ეს ის გოგო-ბიჭები არიან, რომლებიც დაუღლელი შრომის ფასად დაეუფლნენ ცეკვის ანა-ბანას და ახლა უკვე ოსტატობას იხვეწენ, შეძენილ ცოდნას სხვადასხვა პროგრამების მოსამზადებლად იყენებენ.

გოგონათა მშვენიერი დასი ჰყავს “იქორს”: სალომე ჩაჩუა, ნათია კუმელაშვილი, თამარ და თეონა ჭიჭინაძეები, მარიამ ბოჭორიშვილი, ნინო ფაზიაშვილი, მარიამ და ნინო ბატატუნაშვილები, თამთა გოგიბედაშვილი, ანა ნადირაშვილი, ზალინა ბაგაური, ნინო და თაათა შერაძეები, ნანი გულუა, მარი კაკაბაძე, მა-

ია და ალბერტ ბერიძე, ირაკლი გულუა, დავთი ჯავახიშვილი, ლაშა ბაგაური და სხვ. ყველა იქორელს თავისი ამპლუა აქვს, ზოგი სოლისტი ცერულით ბრწყინავს, ზოგი გასმებით, ზოგს ნახტომი აქვს ზღაპრული, ზოგს - ხელის შეუდარებელი მოძრაობა, ყველა ერთად კი ერთ საუცხოო ანსამბლს ჰქმნის, რომელიც ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნების სამსახურში დგას.

დღეს "იქორის" რეპერტუარშია: "გურული ფარცა", "ძველი თბილისის სურათები", "მუხამბაზი", „ქალ-ვაჟთა მოხეკვური"... იქორელები საქართველოში მცხოვრები ხალხების ცეკვებსაც ასრულებენ - ოსურ "სინდს", აფხაზურს, ბერძნულ "სირტაკს". სამომავლოდ სომხურ და აზერბაიჯანულ ხალხურ ცეკვებსაც დადგამენ.

"იქორმა" რამდენჯერმე იმოგზაურა საზღვარგარეთ, მრავალ საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და ლაურეატობაც მოიპოვა. "გრან-პრი" დაიმსახურეს იქორელებმა კულტურის წახალისების ფონდის რესპუბლიკურ კონკურსში (1997 წ.), ერთი წლით ადრე კი პირველ პროფკავშირულ რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში გაიმარჯვეს, ასევე დიდი წარმატება ხვდათ მათ წილად თურქეთის ქ.ქაშში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე (1999 წ.)... ცხადია, ნებისმიერი წარმატება ყველას ერთნაირად ახარებს - მოცეკვაველებსაც და მათ ხელმძღვანელსაც, მაგრამ თეიმურაზ ხოზაშვილისთვის მისი მუშაობის და საერთოდ, ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებაში მის მიერ შეტანილი ღვაწლის უმაღლესი შეფასება ალბათ ის სიტყვები იყო, რომლებიც ეიურის წევრებს მისი ანსამბლის მოცეკვავე ბიჭების მიერ შესრულებული "ყაზბეგურის" შეფასებისას აღმოხდათ: "ჩვენ სცენაზე 25 თეიმურაზ ხოზაშვილი ვიხილეთ!"

თავის დროზე ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის აკადემიური ანსამბლის სოლისტი თეიმურაზ ხოზაშვილი "მოხეკვურის" უბადლო შემსრულებლად ითვლებოდა. მისი ჰაერში წამით გარინდებული გაფრენა-სავით ნახტომი დღემდე ამშვენებს ამ ანსამბლის აფიშებს, და მის ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს, თუმცა ბატონი თეიმურაზი დიდი ხანია აღარ ცეკვავს. და რაღა თქმა უნდა, 25 თეიმურაზ ხოზაშვილი ვიხილეთო - უმაღლესი შეფასება იყო იმ 25 ბიჭისთვისაც, რომლებმაც სწორედ მისი წყალობით მიაღწიეს ოსტატობის ასეთ დონეს.

თეიმურაზ ხოზაშვილს ეამაყება, რომ ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის მოწაფეა და უსაზღვროდ მადლობელია ამ ორი ადამიანის.

ალბათ, მარტო ბატონი თეიმურაზი, მისი პირადი ოსტატობისა და დიდი გამოცდილების მიუხედავად, ვერაფერს მიაღწევდა, სხვებიც რომ არ ედგნენ მხარში - ქორეოგრაფ-რეჟისტორები, მუსიკოსები. "იქორის" წარმატებებში უდიდესი წვლილი შეაქვთ ქორეოგრაფ-მენეჯერს დავით ხოზაშვილს (იგი ბატონ თეიმურაზის ძმა გახლავთ და წლების მანძილზე ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლში ცეკვავდა), რეპეტიტორ-ქორეოგრაფს დავი ბიწოშვილს, მუსიკოსებს ოთარ ბერძენიშვილს, ალბერტ ვიჯაშვილს, პაატა მოლოზონიშვილს, ნუგზარ გაბოშვილს... თითოეული მათგანი მთელ სულსა და გულს აქსოვს საქმეში და, რაღა თქმა უნდა, "იქორის" ყოველი წარმატების თანაავტორია.

ბატონი თეიმურაზ ხოზაშვილი ყოველთვის დიდი მადლიერებით მოიხსენიებს იმ ადამიანებს, რომლებიც "იქორის" ჩამოყალიბებაში ეხმარებოდნენ და დღესაც მხარში უდგანან, ცდილობენ ხელი შეუწყონ მუშაობაში და ამით ჩვენს საერთო საქმეს არგონ. ასეთთა შორის "იქორის" ხელმძღვანელი უწინარეს ყოვლისა საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ სვეტლანა ჩოჩუას და რკინიგზელთა კულტურის ცენტრის პრეზიდენტს, ბატონ თენგიზ მაისურაძეს ასახელებს.

"იქორს" კიდევ ბევრი მწვერვალი აქვს დასაპყრობი, მიღწეულით არც მისი წევრები კმაყოფილდებიან დ. არც ხელმძღვანელები. მუშაობა, ძიება, ახალი პროგრამების მომზადება კვლავაც გრძელდება, ყოველივე ამის ნაყოფი კი ქართული ცეკვის ხელოვნების გამდიდრებას წაადგება.

მანანა გელაშვილი

დონიკა კიხოტი და სხვები

მოთხრობა

— რაო, რაო? - ყველა თამარს მიაჩერდა. შიშით კი არაფრის ეშინოდათ, მაგრამ სიმართლის გამოსაძიებელი დაკითხვის, მოსაბეზრებელი ჭკუის დარიგების, დატუქსვისა და თითის ქნევის პერსპექტივა არავის ახარებდა.

— ჯერ მარტო თამარი დაიბარა დირექტორმა. კაბინეტში მის გარდა სასწავლო ნაწილის გამგე, გიორგი მასწავლებელი და ლოლაბრიჯიდა ისხდნენ. ამ უკანასკნელს შურისძიების აღსრულების იმედით განათებული სახე ჰქონდა.

— აბა, მარიამიძე, გვიამბე, რატომ გადაწყვიტე გუშინ გაპარვა? - ჰკითხა დირექტორმა.

— მე არ გავპარულვარ, — აიქოჩრა თამარი, — პირდაპირ, ყველას თანდასწრებით ავდექი და წავედი.

— აი, ხომ ხედავთ, რა თავხედია?! — აღარ დააცადა ლოლა მასწავლებელმა.

— მით უარესი! რატომ, ბატონო, რატომ ადექი პირდაპირ და ყველას თანდასწრებით რატომ წახვედი?! — ჩაეძია დირექტორი.

— გაკვეთილი არ მაინტერესებდა, ლოლა მასწავლებელმა კი გვითხრა, ვისაც არ აინტერესებს, შეუძლია წავიდესო, მეც ავდექი და წავედი.

— აი, ბატონო, შეხედეთ! თქვენ კიდევ იცავთ! — გადასწვდა ლოლაბრიჯიდა გიორგი მასწავლებელს. — კი, მაგრამ, მარიამიძე, ვითომ ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ ვერ მიხვდი, რომ ისე,სასხვათაშორისოდ, კლასი რომ გამეჩერებინა, იმიტომ ვთქვი ეს?!

— ესე იგი, არ უნდა გეთქვათ...

— არა, პატივცემულო შალვა, მე იმ კლასში შემსვლელი აღარა ვარ, სადაც ეს ქალბატონი იქნება და საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ზოგიერთები, — აქ მან მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გიორგი მასწავლებელს, — თავზე ხელს რომ არ უსვამდნენ, ეს თქვენი "გალუა" ამდენს ვერ გაბედავდა, მე გთხოვთ...

დირექტორმა ლოლა მასწავლებელს დამშვიდება სთხოვა და თამარს მიუბრუნდა:

— სხვები რატომღა შეაგულიანე?

— მე არავინაც არ შემიგულიანებია... გარდა ამისა, ჩვენ საკმაოდ დიდები ვართ საიმისოდ, რომ დამოუკიდებლად გადავწყვიტოთ,როგორ მოვიქცეთ.

— დავუშვათ... მერე სად წახვედით?

— მე — იაოდრომზე, ცხენები მომენატრა და...

ახლა კი სასწავლო ნაწილი აღშფოთდა.

— რა პასუხია ეს, მარიამიძე?!

— თქვენ ხომ სიმართლის თქმას მთხოვთ და მეც სიმართლეს გეუბნებით.

გიორგი მასწავლებელს ჩაეღიმა.

თამარს დერეფანში მთელი კლასი უცდიდა; დირექტორმა რომ გაიგო, შემოუთვალა, რახან თქვენით მოსულხართ, ბარემ შემობრძანდითო. ერთადერთი კედელი იყო თავისუფალი კაბინეტში და იმ კედელთან მიდგნენ. გზად ბექამ სეიფზე გამწკრივებულ თავისივე მოპოვებულ სპორტულ თასებს მხარი გაჰკრა, კინაღამ გადმოყარა. თრითნაირ კუთხეში მიიყუჟა. კახა და ზაზა პირველ რიგში აღმოჩნდნენ.

— ყველანი ხართ?

— სანებლიძე არ ჩანს, — შენიშნა გაკვირვებულმა ლოლა მასწავლებელმა.

გიორგი მასწავლებელი სიყვარულით ათვალიერებდა თავის გოგო-ბიჭებს. "ჩემები არიან, აბა რა, — ფიქრობდა ღიმილით, — ჩემს ხელში გაიზარდნენ, ჩემ ხელში ისწავლეს აზროვნება... როგორი სხვადასხვანაირები არიან! ნეტავ ერთი ათი წლის მერე მანახა ამათი თავი! ვინ რა გზას აირჩევს, ვის რა ჭეშმარიტებას აწამებინებს ცხოვრება?.."

დირექტორმა თვალი გადაავლო მათ და უცბად დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა ეკითხა, რა დაედგინა, მთავარი ხომ ისედაც იცოდა. გამოკითხვას აზრი არა ჰქონდა და ყველას გასაკვირად ისღა უთხრა მკაცრად, კვლავაც აღარ გაიმეროთ ასეთი რამ, ქიმია ხელწამოსაკრავი საგანი არ არის და ჭკუა მოიკრიბეთო, ხოლო ლოლა მასწავლებელი გამოცდილი და მცოდნე პედაგოგია და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეთო.კიდევ ერთხელ გაუმეორა, აღარ გავიგო, ვინმე გაკვეთილიდან გაიპაროს ან წვაიდეს, თორემ სხვანაირად ვილაპარაკებთო, და გამოუშვა. ცოტა არ იყოს, გამტკნარებული ლოლაბრიჯიდა მაინც თავისაზე იდგა, პედსაბჭოს მოწვევას, მკაცრი ზომების მიღებას და მარიამიძის სამაგალითოდ დასჯას მოითხოვდა.

— მაპატიეთ, ქალბატონო ლოლა, — შეესიტყვა გიორგი მასწავლებელი, — მაგრამ ხანდახან მეჩვენება, რომ ჩვენ, მასწავლებლები, პირდაპირ ჩასაფრებულები ვართ, ვუცდით, როდის შეცდება ბავშვი, როდის გამოავლენს ხასიათის უარყოფით მხარეს, რათა ვეცეთ და დაგროვილი ჯავრი ვიყაროთ, იმ უარყოფითს ჩავებღაუოთ და იმის იქით აღარაფერი დავინახოთ... მოვითხოვთ და გვინდა, რომ ყველანი ერთნაირები იყვნენ, მაშინ ხომ ყველაფერი ასე გაიოლდებოდა... ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ყველა მათგანი პიროვნებაა, დიახ, დიახ, პიროვნება, და რომ ისინი ერთმანეთს არ გვანან. ზოგს რთული, ეკლიანი ხასიათი, ხოლო ყველას თავისი

გაგრძელება. იხ. ნაკადული №3

განცდები, სიხარული და სატკივარი აქვს... თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველას ერთნაირად უნდა ვეპყრობოდეთ. შეიძლება მე ვცდები, ამიტომ გთხოვთ ამიხსნათ, რატომ არ უნდა მქონდეს თუნდაც იმავე მარიამიძისადმი გამორჩეული დამოკიდებულება? ის ხომ იმსახურებს ამას?! საერთოდ კი, მე მგონი, "თავზე ხელის გადასმა" ცუდი არ უნდა იყოს მოსწავლეებთან ურთიერთობაში. რა თქმა უნდა, თამარმა დაარღვია სასკოლო დისციპლინა, მაგრამ არა მგონია, რამე საშინელი ჩაედინოს, მით უმეტეს, რომ თავადვე გიბიძგებიათ... უნებურად, რა თქმა უნდა... ისე, მეც კი წავიდოდი ცხენების საყურებლად...

ამ სიტყვებზე ლოლაბრიჯიდამ ხელით ანიშნა იქ მყოფთ, აი, ბატონო, რას გეუბნებოდით, როგორიც მღვდელი, ისეთიც მრევლიო.

— გიორგი, – მიმართა დირექტორმა, – შენ ახლა მთლად უცოდველადაც ნუ გამოიყვან მარიამიძეს, წესი და დისციპლინა ყველასთვის ერთია. დაუსჯელობას კი, შენც იცი, რა მოჰყვება – ,ვებიც მიბაძავენ და იარონ აბა, ასე – ზოგმა ცხენების სანახავად და ზოგმა...

— ზებრების, - მიაშველა სასწავლო ნაწილმა.

— ზებრების? – გაუკვირდა დირექტორს, – ჰო, რა ვიცი, თუნდაც ზებრების.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მეათე "ა"-მ მკაცრი გაფრთხილება მიიღო: თუ კიდევ ერთხელ მაინც გააცდენდნენ კოლექტიურად თუნდაც ერთ გაკვეთილს, კლასის დაშლის საკითხი დადგებოდა. თამარის დედა კი მაინც დაიბარეს სკოლაში. დირექტორთან საუბრის შემდეგ ლოლა მასწავლებლის დიჟინებით კლასის დამრიგებელმა მასაც შეახვედრა ქალბატონი თინათინი, ლოლაბრიჯიდამ კატეგორიულად მოსთხოვა თამარის დედას, სერიოზულად მიეხედა შვილისათვის, თვალი ,ედევნებინა მისი ყოველი ნაბიჯისათვის, მეტი ეზრუნა მის ზრდილობაზე, ხშირად ეკლო სკოლაში. ქალბატონი თინათინი მოთმინებით უსმენდა, არ შეპასუხებია, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მისი თამარი არც უზრდელი იყო და არც უტიფარი. თავისი ქალიშვილის ხასიათის ამბავი კარგად იცოდა. ხედავდა მის გულჩაკეტილობასა და უთქმელობას, ედარდებოდა, რომ უკიდურეს თავშეკავებულობასთან ერთად უეცარი აფეთქებაც იცოდა, ისიც აწუხებდა, რომ თამარს არ შეეძლო თავისი სიმართლე დაემტკიცებინა, გაცხარდებოდა, თავის თავზე გაბრაზებული გამოსავალს ვერ პოულობდა, ანაზდად მიატოვებდა ყველას, სიტყვას პირზე შეატოვებდა, მერე განმარტოდებოდა და ზოგჯერ კიდევაც ტიროდა ხოლმე ჩუმად, წყენას გულში იკლავდა. დედამ ისიც იცოდა, რომ მის ქალიშვილს თვალთმაქცობა არ შეეძლო, ყოველთვის გულწრფელად განიცდიდა სხვისთვის უნებურად მიყენებულ მცირე ტკივილსაც კი, სიკეთეს უხმაუროდ აკეთებდა და არასდროს არ იმახსოვრებდა მას. ხანდახან თავს გამოუტყდებოდა ხოლმე: გარდა იმისა, რომ უყვარდა თამარი, რაღაცნაირად თითქოს ერიდებოდა კიდევაც მისი, პატივს სცემდა.

— ისე, თუ იცით, რა მეტსახელი ჰქვია თქვენს ქალიშვილს? – ნიშნის მოგებით ჰკითხა ლოლაბრიჯიდამ.

— კი, დონია კიხოტი.

— მერე... თქვენ არ გაწუხებთ, არ გაფიქრებთ ეს ამბავი?

— პირიქით, – ღიმილით მიუგო ქალბატონმა თინათინმა.

— არ ვიცი, არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ლოლა მასწავლებელმა და თავისთვის გაიფიქრა, ნეტავ შვილისა რაღა მიკვირსო...

მაკა არც მომდევნო დღეს მისულა სკოლაში, მესამე დღეს კი სამედიცინო ცნობა მიიტანა, რომ ზედა სასუნთქი გზების კატარით იავადმყოფა.

* * *

მალე ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.

იმ ჭერამმაც გადაიყვავილა და ახლა ფოთოლგამოტანილი იწონებდა თავს.

მისთვისვე მოულოდნელად, თამარს ხშირად ახსენდებოდა არჩილი, უკვირდა, რომ თურმე ყველა მისი სიტყვა დამახსოვრებოდა, მისი ღიმილიც ჩარჩენოდა მეხსიერებას და გამოხედვაც. ნახატებიდან კი რატომღაც მხოლოდ ის ეული ნავი აგონდებოდა.

— თამარ, გამარჯობა, არჩილი ვარ... – გაისმა ერთხელაც ტელეფონის ყურმილში.

თამარს ხმა არ ამოუღია.

— ალო, ალო, თამარ!

— დიახ, გისმენთ.

— არჩილი ვარ-მეთქი...

— დიახ, არჩილ, გისმენთ.

— როგორა ხარ?

— კარგად. თქვენ?

— მეც კარგად.

წამით სიწყნარე ჩამოვარდა.

— თამარ, იაპონური თეატრის სპექტაკლზე მაქვს ორი ბილეთი და ხომ არ წამოხვიდოდით?

თამარი შეყოყმანდა.

— ალო, თამარ!

— კი, წამოვალ.

— მაშინ შვიდი საათისთვის ფილარმონიასთან დაგელოდებით.

— კარგი.

— სად მიდიხარ? – იმ წუთში ეცნენ დაყურადებული ძმები. – ნახე, როგორ გაწითლდა! ვინ იყო, ვის ელაპარაკე?

— გავწითლდი კი არა... ამხანაგი იყო...

— კი, აბა, ამხანაგი... მაშინ რატომ გაწითლდი? – არ ეშვებოდნენ გულბაათი და გარსევანი. ძლივს მოიცილა თავიდან.

ახლა მაშინ შეუჩნდნენ, წასასვლელად ჩაცმა რომ დაიწყო. – ოხ, ქალბატონს კაბაც ახალი ჩაუცვია, ფეხსაცმელებიც! სულ ერთია, ჩვენც წამოვალთ და მაინც ვნახავთ, ვინ დაგრეკა...

— დაეხსენით! – რამდენჯერმე დაუცაცხანეს დედამ და ბებიამ, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს, ვერ მოაშორეს.

ათასი ფიქრი უტრიალებდა გზაში თამარს – რომ მკითხოს, რატომ გაიქეცი მაშინო, რა ვუთხრა? რატ

დამირეკა?.. იქნებ უარი უნდა მეთქვა და საერთოდ აღარასდროს არ უნდა შეეხვდე? იქნებ... მაგრამ როგორც კი რჩილი დაინახა, ყველაფერი გადაავიწყდა.

ღიმილით მიესალმნენ ერთმანეთს. ის დღე არც ერთს არ გაუხსენებია. სულ რაღაც ზოგადზე ლაპარაკობდნენ, იაპონური თეატრის თავისებურებაზე, საერთოდ იაპონურ ხელოვნებაზე, პოეზიაზე. სპექტაკლის შემდეგ არჩილმა სახლამდე მიაცილა. თამარმა უნებურად თავიანთ ფანჯრებს ახედა, გარსევანი და გულბაათი ლამის წელამდე გადმოხრილიყვნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს. – აუჰ, ახლა აღარ მომასვენებენო, – გაიფიქრა ღიმილმორეულმა. დამშვიდობებისას არჩილმა უთხრა, კიდევ დაგირეკავო, თამარმა არაფერი უპასუხა, მხრები აიჩეჩა, როგორც გინდაო და სულმოუთქმელად აირბინა კიბე. რა თქმა უნდა, კარი ძმებმა გაუღეს. – ოხ, მობრძანდა ქალბატონი!.. – კიდევ რაღაცის თქმას აპირებდნენ, მაგრამ აბაო, მკაცრად გამოსძახა მამამ, ძილისთვის გაემზადეთო და ისინიც ბუზღუნით დამორჩილდნენ. მარტო დედამ ჰკითხა, სპექტაკლი თუ მოგეწონაო, მამას და ბებიას საერთოდ არაფერი უთქვამთ და თამარიც უხმოდ გავიდა თავის ოთახში. არჩილზე ფიქრმა კარგ ხანს არ დააძინა – კიდევ კარგი, იმდღევანდელზე არაფერი მითხრა... რომ არ დამირეკოს? არა, დამირეკავს, მაშინ რაღად მეტყოდა, დაგირეკავო...

დილითაც არჩილზე ფიქრაყოლილი ადგა და მერეც სკოლაში რამდენჯერმე დაიჭირა თავი – გუშინდელ საღამოს იხსენებდა დაწვრილებით. თვითონვე უკვირდა. – ეჰე, დონაა კიხოტ, თქვენს თავს რაღაც ხდება! მგონი...

სკოლიდან პირდაპირ შინ წავიდა. მთელი დღე ტელეფონის ზარს ელოდებოდა, მაგრამ ისე დაღამდა, არჩილს არ დაურეკავს. – მაინცდამაინც დღეისაზე ხომ არ უთქვამს, ეს შენ არ ვიყავით ერთად, დღეს რაღას დამირეკავსო? – იმშვიდებდა თავს და მაინც მთელი დღე ადგილს ვერ პოულობდა. არც მეორე დღეს მოუცვლია ფანჯარა სახლიდან. წიგნებიდან თავი არ აუღია. ალბათ არც დღეს დამირეკავს და საერთოდაც... მერე რა, რომ მითხრა? ისე მითხრა, უბრალოდ, მე კიდევ... დიდი ამბავი, ერთხელ დამპატიჟა თეატრში... ალბათ სულაც არ ვახსოვარ, ანდა რატომ უნდა ვახსოვდე? მეც უნდა დავივიწყო, და მორჩა...

ხან ვინ დარეკა და ხან ვინ, არჩილი კი არ რეკავდა. - რა სულელი ვარ, ხომ ვიცი, რომ არ დარეკავს და მაინც...

— თამარ, შენ გირეკავენ, სხვათაშორის, ჩვენთვის უცნობი ხმაა, – თავი შემოყვეს ძმებმა, - ის ვაჟბატონი უნდა იყოს...

ნამდვილად "ის ვაჟბატონი" იყო.

— თამარ, გუშინ მინდოდა დარეკვა, მაგრამ მომერიდა...

— ჰო-ო?

— მხატვრის სახლში კარგი გამოფენაა და ხომ არ წავსულიყავით-მეთქი?

— რა ვიცი... წავიდეთ.

იმ დღიდან მოყოლებული. ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუ შეხვედრას ვერ ახერხებდნენ, ტელეფონით მაინც საუბრობდნენ. ხან კინოში შევიდოდნენ, ხან კაფეში ან ბაღში ჩამოსხდებოდნენ, ხანაც უბრალოდ ძველ ქალაქში დახეტიალობდნენ. ერთხელაც ღერეკ მონასტერთან, მომცრო სკვერში ისხდნენ და ქალაქს გადაჰყურებდნენ. იქვე ბელურა დაეშვა და მზესუმზირის ნარჩენების კენკვას შეუდგა. უტიფარი ჩანდა, ხტუნვით მიუახლოვდა და ახლა ლამის მათ ფეხებთან დაიწყო კენკვა.

— შეხედე, ერთი, რა უშიშარია! – გაიღიმა თამარმა.

— ალბათ ძალიან შია და სიფრთხილე გადაავიწყდა.

— ნახე, ნახე, რა სასაცილოდ დახტუნავს... ნეტავ საერთოდ თუ იციან ბელურებმა სიარული, თუ სუ ასე დახტუნავენ, კი არ დავკვირვებივარ.

— არც მე. მოდი, ამას დავაკვირდეთ.

ბელურამ თითქოს იგრძნოო, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, კენკვა შეწყვიტა, თავი ოდნავ გვერდზე გადასწია და თამარსა და არჩილს მიაჩერდა.

— მგონი, რაღაცის თქმას აპირებს, ხომ იცი! გისმენთ, ბატონო, ბრძანეთ!

თამარმა ხმამაღლა გაიცინა, ახლა კი დაფრთხა ბელურა და გაფრინდა.

— რომ იცოდე, როგორ გიხდება გაცინება! სულაც ასე გაცინებულს დაგხატავ... აი, მაკას პორტრეტს დავამთავრებ და მერე შენსას დავიწყებ.

— მაკას პორტრეტს? – გაკვირვება ვერ დაფარა თამარმა.

— ჰო, მართლა, შენთვის მგონი არც კი მითქვამს, არა? მაკას ვხატავ. ხომ გახსოვს, მაშინ თვითონ მთხოვა... მალე საკურსო ნამუშევრების გამოფენა გვექნება და მინდა მოვასწრო, დანარჩენი ნამუშევრები მზადა მაქვს.

თამარს გულმა რეჩხი უყო.

— არ მინდა, ნუ დამხატავ... არა მგონია, სასიამოვნო იყოს ცხვირწინ ჩამოკიდებული საკუთარი პორტრეტის ყურება... თუ გინდა, სხვა შენი სურათი მაჩუქე.

— კი ბატონო, რომელიც გინდა.

— აი, ის, ეული ნავი.

— იცი, მე თვითონაც ძალიან მიყვარს ეგ სურათი, მაგრამ სიამოვნებით გაჩუქებ, ოღონდ გამოფენის შემდეგ.

— მოდი, ასე შევთანხმდეთ: რადგანც ასე მოსასწრებად გქონია საქმე, გამოფენამდე ნუღარ შეეხვდებით ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ მეც ნაკლები დრო მექნება, რაც არ უნდა იყოს, გამოცდები ვვეწყება...

არჩილი წამით დაფიქრდა და დაეთანხმა.

თამარმა რაღაცა უსიამოვნო გრძნობა გაიყოლა თან. შინ მისული კი ტუქსავდა თავს: – რა მოხდა მერე? რა არის ამაში ისეთი? ვიღაც ხომ უნდა დაეხატა, მაკა კი ლამაზია და... მაგრამ იმასაც ფიქრობდა, საქმეც ის არის, რომ ლამაზიაო... უკვირდა, რატომ აქამდე ერთხელ მაინც არ მითხრა არჩილმა, მაკას თუ ხატავ-დაო... რაღაც არ ასვენებდა, გულს უღრღნიდა.

თითქმის ყოველ საღამოს ეხმიანებოდნენ ტელეფონით ერთმანეთს. არჩილმა გამოფენის გახსნის წინად-

ღესაც დაურეკა, შეწუხებული იყო.

— როგორ მინდოდა ერთად წვსულიყავით, მაგრამ ხვალ ჩემი ძმა ჯარში მიდის და... ხომ იცი...

— არა უშავს, ჩვენებიც აპირებენ გამოფენაზე - კახა, ზაზა, ქეთი, და ერთად წავალთ.

— ძალიან კარგი, მერე ხომ მეტყვი შენს შთაბეჭდილებებზე, ძალიან მაინტერესებს შენი აზრი.

* * *

— თრითინ, გაიხმო დიდ დასვენებაზე მაკამ თრითინა, – კანცელარიაში უნდა ჩამეგზავნო, მე არა მცალია, აი, ესა მაქვს მანქანაზე გადასაბეჭდი, ეთერის სთხოვე და დაგიბეჭდავს, სულ ორი სტრიქონია, ოღონდ, იცოდე, არავისთან წამოვცდეს, თორე?!..

თრითინას არც კი დაუხედავს, რა ეწერა მაკას მიერ მიცემულ ფურცელზე. საქმეთა მმართველმა ბეჭდვა რომ დაიწყო, მაშინღა ჩახედა: არჩილ ერთელიშვილი. I კურსი. "ქალიშვილი, რომელიც მიყვარს". ფანქარი. ვერაფერს მიხვდა, ამოვიდა და ორივე ფურცელი მაკას ჩააბარა. იმან კიდევ ერთხელ გააფრთხილა, არაფერი წამოვცდესო და დაუმატა, გამოფენაზე მე და შენ სხვებზე ადრე უნდა მივიდეთ და სხვებზე გვიან უნდა წამოვიდეთო. თრითინამ ვერც ამჯერად გაიგო ვერაფერი, მაგრამ იმდენად იყო შეჩვეული მაკას მორჩილებას, რომ ხმის ამოუღებლად დაუქნია თავი, კარგიო. მაკა დრო და დრო, როცა თვითონ მოეგუნებებოდა, ცოტას წაამეცადინებდა თრითინას და მერე ცხვირში ადენდა, მბრძანებლური მეურვეობა დაუწესა და ლამის დამოუკიდებლად აზროვნების უნარიც დააკარგვინა. სუსტი ნებისყოფისა და საკუთარი არასრულყოფილების გრძნობით შებოჭილ თრითინას არც კი უცდია თანაკლასელის სასტიკი მფარველობისაგან დაეღწია თავი და ასე მონუსხულიღა არსებობდა მის გვერდით.

გამოფენაზე ლამის პირველები მივიდნენ. დარბაზში თითო-ოროლა დამთვალიერებელი თუ იყო. მაკამ სწრაფად მოძებნა საკუთარი პორტრეტი, თრითინას უბრძანა, მომეფარეთ და მარჯვე მოძრაობით პორტრეტის ქვედა კუთხეში მიმაგრებული წარწერა მოაძრო. თრითინა გაოცდა, ხოლო როცა მაკამ სამაგიეროდ ეთერის გადაბეჭდილი წარწერა დაამაგრა, ყველაფერს მიხვდა და გაოგნდა. – კი მაგრამ, – დაიპირა რაღაცის თქმა, მაგრამ მაკამ ერთი ისე გამანადგურებლად შეხედა, რომ უმალ გააჩუმა, მერე ვითომ სასაუბრო ოთახისაკენ ისიც დაუმატა, ხომ იცი, ინგლისურში გაქვს სამიანი გამოსასწორებელი და დღეს უნდა ვიმეცადინოთო, რითაც საბოლოოდ წაუხდინა შეწყნარებადობის სურვილი.

ცოტა ხანში სხვებიც მოვიდნენ. არჩილს კეთილსინდისიერი სიზუსტით გამოეყვანა მაკას სახის ყოველი ნაკვთი, გამოხედვაც ზუსტად დაეჭირა. თამარმა წარწერას დახედა - არჩილ ერთელიშვილი. I კურსი. "ქალიშვილი, რომელიც მიყვარს". ფანქარი. – გაოგნდა. შორი შორეთიდან მაკას ხმა ჩაესმა:

— როგორ მოგწონთ? ნახეთ, რა პორტრეტია! ჩემი საკუთრებაა, დროებით ვათხოვე არჩილს გამოფენისათვის.

ხმა არავის ამოუღია. მერე ყველასათვის მოულოდნელად თრითინამ იდო თავს ნახატის შეფასება.

— კი, კარგი პორტრეტია, ძალიანც გგავს, ოღონდ...

— რა ოღონდ? – დაცინვით მიუბრუნდა მაკა.

— შენი სული არ ჩანს... შენი ნამეცეცა სული!

— ოჰო, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო. რამე მაინც გაგეგებოდეს მხატვრობისა! სული?! რომელ სულზე მელაპარაკები, შე მართლა უსულო საგანო?!

— მაკა, დაფიქრდი, რას ამბობ! – წამოეწთო ქეთი.

— სწორედაც დავფიქრდი და იმიტომ ვამბობ... მე ხომ ვხედავ, რომ ყველანი შურითა სკდებით... რა ჩემი ბრალია, თუ ზოგიერთი დიდსულოვნის მაგივრად, – მაკამ ეს სიტყვა ხაზგასმული ირონიით წარმოსთქვა, და თამარს გადახედა, – რატომღაც არჩილს... არჩილმა მე ამირჩია... დასახატად! – გამოსცრა და მეორე დარბაზისკენ წავიდა. ო, როგორ ჰგავდა იმ წუთს მაკა თავის პორტრეტს! თამარმა კიდევ ერთხელ შეხედა ნახატს, მერე წარწერასაც დახედა. მაშ ასე... დამთავრდა, დონია კიზოტ, თქვენი სიყვარულის ამბავი... დაბრძანდით ახლა და აფრქვიეთ პარალელოგრამებსა და განტოლებებზე მარგალიტის ცრემლები... მომდგარმა ცრემლებმა თვალები დაუბინდეს და როცა მორიგი ნამუშევრისკენ გადაინაცვლა, კარგა ხანს ვერაფერი გაარჩია. მერე კი მიხვდა, რომ ის სევდიანი პეიზაჟი იყო. ტბის გარინდებულ ზედაპირზე ეული ნავი ჩანდა. გაღმა კლდეებს თრიმლი მოსდებოდა წითლად, შორს პატარა ქოხი მიყუჟულიყო. საოცრად მოუნდა იმ ნავში წოლილიყო და ეტირა...

— თრითინ, არ ვიცი, იქნებ შენ მართლაც ნაკლებად ერკვეოდე მხატვრობაში, "სულოლოგი" კი ნამდვილად მაგარი ყოფილხარ, – ჩაულაპარაკა კახამ ამხანაგს და კერამიკოსთა ნამუშევრების თვალიერებას შეუდგა.

* * *

— რა იყო გენაცვალე, რა მოგვიიდა? - შეიცხადა ბებიამ თამარის დანახვაზე. – თვალები რა ჩამქრალი გაქვს?

— არაფერი, ბებო, რა უნდა მომსვლოდა? ცოტა თავი მტკივა და ალბათ იმის ბრალია. – იცრუა თამარმა.

დასასრული შემდეგ ნომერში

მანანა გელაშვილი

დონ კიხოტი და სხვები

მოთხრობა

მსოფლიო კიდით კიდემდე

გერმანია

ბავშვები მეტ ჯიბის ფულს მოითხოვენ

სულ უფრო მეტ ჯიბის ფულს აძლევენ მშობლები შვილებს. თანხა, რომელსაც ბავშვი ყოველთვიურად იღებს, შარშანდელთან შედარებით შვიდი პროცენტით გაიზარდა და მან საშუალოდ 32 მარკა შეადგინა. საინტერესოა, რომ მშობლები ბიჭებს საშუალოდ თვეში ექვსი მარკით მეტს აძლევენ, ვიდრე გოგონებს. ბავშვების 80 პროცენტს შეუძლია ისე დახარჯოს ჯიბის ფული, როგორც მოესურვება. დღეს ცდუნებათა არჩევანი ძალზე დიდია: კომპიუტერული თამაშები, პლეიერები და ლაზერული დისკები, გორგოლაჭებიანი ციგურები... ამასობაში ბავშვების მოთხოვნილებებიც მატულობს: 17 წლამდე ასაკის გერმანელი ბავშვების 7 პროცენტს უკვე აქვს საკუთარი მობილური ტელეფონები, ყველა მეხუთეს კი ოთახში კომპიუტერი უდგას.

რუსეთი

ქართული სკოლა ნიჟნი ნოვგოროდში

ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში სამშობლოს სხვადასხვა მიზეზით მოწყვეტილი 1426 ქართველი ცხოვრობს. ყველა მათგანი მოწადინებულია შეინარჩუნოს საკუთარი კულტურა, ტრადიციები, მშობლიური ენა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა რუსეთის ამ ქალაქში საკვირაო სკოლა ქართველი ბავშვებისათვის. სკოლაში, რომელიც სოციალური დაწესებულება "ქართული საზოგადოების" თაოსნობითა და ძალისხმევით შეიქმნა, ბავშვები შეისწავლიან ქართულ წერა-კითხვას, ენას, ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას.

აშშ

პინოქიოს ჯადოქრობა ბრალდება

ქალაქ პიტსბურგის ერთ-ერთი ქრისტიანული კონგრეგაციის მოძღვარმა ჯორჯ ბენდერმა ბრძოლა გამოუცხადა წიგნებს ჰარი პოტერის თაგადასავლების შესახებ და მულტფილმებს ჰერკულესისა და პინოქიოს შესახებ. ბენდერმა ამ ნაწარმოებებს ჯადოქრობის, შავი მაგიისა და პარანორმალური მოვლენებისადმი ინტერესის გაღვიძება დასდო ბრალად და მათი საჯაროდ დაწვა მოითხოვა.

შვედეთი

ლტოლვილთა ნახევარს ბავშვები შეადგენენ

ქალაქ ნორჩეპინგში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე "ბავშვები ომში და ლტოლვილთა როლში" მოყვანილი სტატისტიკის თანახმად, ბოლო 10 წელინადში შეიარაღებულ კონფლიქტებში მთელ პლანეტაზე 2 მილიონი ბავშვი დაიღუპა, ერთი მილიონი დაობლდა, 15 მილიონი უსახლკაროდ დარჩა, კიდევ 6 მილიონმა კი სხეულის სერიოზული დაზიანებები მიიღო. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება — ჰუმანიტარული დახმარების გაწევისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ პლანეტაზე ლტოლვილების ნახევარს ბავშვები შეადგენენ.

ჩინეთი

ექვსი წლის ვუნდერკინდი პიანისტი

ექვსი წლის ჩინელმა პიანისტმა გოგონამ ჩუან ჩუხანმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ნაწარმოებების უნოტებოდ შესრულებაში.

57 წუთში გოგონამ მსოფლიოს ცნობილ კომპოზიტორთა შედევრების 32 ნაწყვეტი შეასრულა. ჩუანი ჩუეცზიანის, ჩინეთის აღმოავსლეთ პროვინციის ზღვისპირა ქალაქ ნინბოში ცხოვრობს და სამუსიკო საბავშვო ბაღში სწავლობს. ვუნდერკინდი პიანისტი მუსიკით 7 თვის ასაკში დაინტერესდა (მამის სიმღერას რომ უსმენდა, რიტმულად აქნევდა ხოლმე თავს), პიანინოს კი პირველად 4 წლისა მიუჯდა.

კითხვა - თქვენი

ამას წინათ კლასელებმა ფული შეგვაგროვეთ და "მაკდონალდსში" წავედით. სიმართლე გითხრათ, მე ბევრი ბური საჭაპური და სინკალი უფრო მოიწონს, ვიდრე ჰამბურგერები თუ ჩისბურგერები, მაგრამ "მაკდონალდსში" დავრწმუნდი, რომ თურმე საჭმელის გემოს გარდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონია ვითარებას, მომსახურებას, სისუფთავეს.

თუ შეიძლება, გვიამბეთ რას წარმოადგენს "მაკდონალდსის" ფირმა.

თიკო და ლელა.

"მაკდონალდსი" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფირმაა. მისი ყოველწლიური შემოსავალი 1,4 მილიარდი დოლარია.

ფირმის მომსახურების წარმატება უმარტივესი წესების განუხრელი დაცვითაა განპირობებული. ამ ბიზნესის მომგებიანობა მის ორგანიზებულობაში უფროა, ვიდრე ორიგინალობაში. საჭმელი, რომელსაც "მაკდონალდსის" უზარმაზარი ქსელის ნებისმიერი რესტორანი სთავაზობს მომხმარებელს, "მეზობელთაგან" ყველაზე საუკეთესოა; მომსახურება სწრაფია; მომსახურე პერსონალის თავაზიანი ღიმილი აუცილებელია; რესტორნის უმკცრესი კანონია - მუდმივი სისუფთავე და ვენტილაცია; ერთადერთი, რასაც "მაკდონალდსში" ვერ ნახავთ, საფერფლეა - ამით მიღწეულია იდეალური სანიტარული მდგომარეობა. კლიენტმა ყოველთვის იცის, რას მიირთმევს და, რაც მთავარია, მას ბავშვის შეყვანა თამამად შეუძლია.

როგორც წესი, "მაკდონალდსის" მომსახურე პერსონალი ახალგაზრდაა და ამაში ბიზნესის წარმატების დიდი წილია ჩადებული: გარდა იმისა, რომ მუშახელი იაფია, მომსახურება უშუალო ატმოსფეროს ქმნის და სტუმარიც სრულუფლებიან "ბბრძანებლად" გრძნობს თავს. წარმატების კიდევ ერთი საიდუმლო დისციპლინაა: ფირმა თავის ორგანიზაციებს სისტემატურად ახალისებს სტიმულირების ახალი ფორმებითა და ახალ-ახალი იდეებით. ნებისმიერი თანამშრომელი გარანტირებულია ილინოისის შტატში ცენტრალური კომპანიის "ჰამბურგერ უნივერსითში" სწავლით. აქ წელიწადში 14-ჯერ 72 ქვეყნის 200-200 მენეჯერი გადის ორკვირიან სემინარს.

"მაკდონალდსს" საკმაოდ კოდენტიალური ურთიერთობა აქვს იმ ქვეყანასთან, სადაც ფილიალს ხსნის.

ფილიალის გახსნისთვის "მაკდონალდსი" ირჩევს ისეთ პარტნიორს, რომელსაც გარკვეული წონა აქვს საზოგადოებაში (მაგალითად, საუდის არაბეთში პარტნიორი სამეფო გვარის წევრია); პარტნიორი უფლებამოსილია შეარჩიოს ადგილობრივი კადრები; ფირმა ეხმარება მას შესაფერისი შენობის დაქირავებაში, მშენებლობაში, აწვდის საქონელსა და ინვენტარს, უზრუნველყოფს კეთილ ურთიერთობას სახელმწიფო მმართველობასთან.

პოტენციური პარტნიორი რესტორნის გახსნამდე ორწლიან გამოცდას გადის. მომავალი ხელმძღვანელობა სამუშაო პრაქტიკაზე იგზავნება სასწავლებლად. ურთიერთშეთანხმების შემდეგ პარტნიორი იხდის 45 ათას დოლარს და 20 წლიან ხელშეკრულებას აწერს ხელს, რომლის მიხედვითაც "მაკდონალდსის" საკუთრება შემოსავლის მხოლოდ 4%-ია. ეს კი წელიწადში 200000 დოლარია საშუალო ზომის რესტორნიდან.

გაგაცნობთ "მაკდონალდსის" რამდენიმე პრინციპს:

თანამშრომლების ხშირი შეკრებები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის;

მათთვის სტანდარტული პროფესიის სწავლების გარანტირება;

იმ ქვეყნის კულტურის საფუძვლიანი შესწავლა, სადც დაგეგმილია ფილიალის გახსნა;

ასორტიმენტის სტანდარტულობის დაცვა;

ადმინისტრაციისა და მომსახურე პერსონალის ადგილობრივი კადრების შერჩევა;

დამოუკიდებლობის წახალისება;

დაბალი ფასები;

სტაბილური ხელფასები ვალუტაში;

უდიდესი სარეკლამო კამპანია.

პასუხი - ჩვენი

იყვირეთ, ბიჭებო: “... აფხაზეთი ჩემი”





ლაშა და საბა ერთი წელი დადიოდნენ ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მოქმედ ჟურნალისტიკის წრეში (ხელმძღვანელი ნანი მოსიძე). სწორედ მაშინ დაებადათ საკუთარი გაზეთის გამოშვების იდეა. ძმები ასე ხსნიან თავიანთ გადაწყვეტილებას — გვინდოდა, დევნილ ბავშვებს საკუთარი გაზეთი ჰქონოდათ, რომლის საშუალებითაც ერთმანეთს გაიცნობდნენ, აფხაზეთის სხვადასხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან მთელ საქართველოში გაფანტულ თანატოლებს შეეხმიანებოდნენ.

და აი, დღეს დევნილ ბავშვებს უკვე აქვთ ასეთი გაზეთი, მას “ძმები გამისონიები” ჰქვია.

გაზეთის პირველ ნომერში მისი რედაქტორ-გამომცემლები ასე აცნობენ თავს მკითხველს: “ჩვენ, ლაშა და საბა გამისონიები, სამურზაყანოელები ვართ. როცა პატარები ვიყავით, ზღაპრები საოცრად გვიყვარდა, მათ შორის, ძმები გრიმების და დღემდე გვინდა, მათ მივბაძოთ, ძმები გრიმებივით შევთხზათ სასიამოვნო ამბები. ჯერჯერობით კი გაზეთის ვამოცემა გადავწყვიტეთ ჩვენი ტოლი დევნილი ბავშვებისთვის. გვინდა, ისინი შეეჩვიონ ჩვენს გაზეთს, რომ მოუთმენლად ელოდონ მის გამოჩენას. და, რა თქმა უნდა, თვითონაც აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენთან. ამ გაზეთმა უნდა გაგვაცნოს ერთმანეთი, უნდა შეგვაკავშიროს.. უფროსები ამბობენ, წერაში შეიძლება დიდი დარდი დ ტკივილი გაიქარვოო. მეგობრებო, ვინ არ იცის, რომ თქვენი წილი ტვირთი აგკიდათ ცხოვრებამ... მოგვიყვით თქვენზე, თქვენს მეგობრებზე, იმაზე, რაც გიხარიათ და გწყინთ... ერთი სიტყვით, მოგვწერეთ, “ძმები გამისონიები” თქვენს სამსახურშია“.

თუმცა ძმებმა ჯერჯერობით ორი ნომრის გამოშვება მოახერხეს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათი გაზეთის პოპულარობა ბევრ სტაჟიან გამოცემას შეშურდება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეფარებული ლტოლვილი ბავშვები მოუთმენლად ელიან თავიანთ გაზეთს (მას ასეც ჰქვია — “დევნილ ბავშვთა გაზეთი”). ლაშას და საბას სწორად გადაუწყვეტიათ, როცა საგაზეთო ფართის უმეტესი ნაწილი ერთ ბედში მყოფი თანატოლებისთვის დაუთმიათ. სოფიკო მესხია, სოფიკო ჩალიგავა, ანუნა ბუკია, გვანცა გოგილაავა, მირანდა ქარდავა, თედო ცაავა მადლობას უხდიან ძმებს იმისთვის, რომ ასეთი გაზეთის გამოცემას მოჰკიდეს ხელი და ამით შესაძლებლობა მისცეს მთელ საქართველოში მიმოფანტულ სოხუმელ, გალელ, გაგრელ, ოჩამჩირელ, გუდაუთელ ბავშვებს ხმა მიაწვდინონ ერთმანეთს, სიხარული თუ დარდი, საფიქრალი გაუზიარონ ერთმანეთს.

ცხადია, უფროსების რჩევა-დახმარების გარეშე გაუჭირდებოდათ საქმის აწყობა. უწინარეს ყოვლისა, მშობლები — დედა, ქალბატონი ქრისტინე კილანავა (ზუგდიდის დევნილ ქალთა საბჭოს თავმჯდომარე) და მამა — ბატონი ვალერი გამისონია (ინჟინერ-მშენებელი) ამოუდგნენ მხარში, მამიდაც მიეშველა რჩევა-დარიგებით (ქალბატონი მზია გამისონია გალში სტამბის დირექტორად მუშაობდა), ფინანსური დახმარება კი ზუგდიდში დევნილთა სამსახურის უფროსმა, ბატონმა ელდარ ღურნაკაიამ და საქართველოს საფოსტო ბანკის აფხაზეთის N2 ფილიალის დირექტორმა, ქალბატონმა მანანა ჩიტაიამ გაუნიეს.

გაზეთს საკუთარი კომპიუტერები არა აქვს, ამიტომ მას ზუგდიდის ერთ-ერთ კომპიუტერულ ცენტრში აწყობენ და ბეჭდავენ. მასალებს თანატოლები აწვდიან, ძმების თხოვნით, მათი დევნილი მეგობრები იხსენებენ აფხაზეთს, აწვდიან ინფორმაციებს მათ ცხოვრებაში მომხდარ სიახლეებზე. გაზეთს ძირითადად ზუგდიდში ავრცელებენ, უფასოდ არიგებენ სკოლებში, მოსახლეობაში. როგორც ნებისმიერ გაზეთში, ლაშას და საბას გაზეთშიც არის რუბრი-

კები - "ძმები გამისონიების ფოსტა", "ძმები გამისონიების" ინფორმაცია, "ძმები გამისონიების" სტუმარი, სპორტი. ალბათ მერე და მერე სხვა რუბრიკებიც გაჩნდება და გაზეთიც უფრო და უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს.

ეს, რაც შეეხება გაზეთს, ახლა კი მის რედაქტორებსა და გამომცემლებზეც ვისაუბროთ.

ლაშა ერთი წლით უფროსია საბაზე, თუმცა ორივენი ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის გიმნაზიის მე-6 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეები არიან. ეს იმ უბრალო მიზეზით მოხდა, რომ უმცროსმა ძმამ არ მოინდომა უფროსს ჩამორჩენოდა და მშობლებმაც ორივენი ერთდროულად მიიყვანეს სკოლაში. ლაშას ძალიან უყვარს ხატვა, წიგნების კითხვა, ცეკვა, ჭადრაკი (სპორტის ამ სახეობაში მეორე თანრიგი აქვს), სასკოლო საგნებიდან კი - გეოგრაფია და მათემატიკა. მას ძალიან უნდა, რომ მკითხველმა შეიყვაროს მათი გაზეთი, რომ რაც შეიძლება მეტმა ბავშვმა იკითხოს იგი, ითანამშრომლოს მასში. ლაშას ყველაზე დიდი სურვილი კი აფხაზეთში, გალში დაბრუნებაა, რომელიც მან ხუთი წლისამ დატოვა ოჯახთან ერთად.

წიგნების კითხვა და ჭადრაკი საბასაც უყვარს, ისიც მეორეთანრიგოსანი მოჭადრაკეა, ცეკვითაც ძმასთან ერთად ცეკვავს ანსამბლ "ეგრისში", ხოლო სასკოლო საგნებიდან სხვებზე მეტად ქართული ლიტერატურა, გეოგრაფია და ინგლისური მოსწონს. საბაც აფხაზეთში დაბრუნებაზე ოცნებობს, უნდა გალის ქუჩებში დადიოდეს, თავის ეზოში თამაშობდეს...

ლაშა და საბა გამისონიებს თავიანთი გაზეთის დევიზად პოეტის სიტყვები აურჩევიათ - "... და მე ვყვირი: აფხაზეთი ჩემი!" აი, ამ ყვირილს შეუერთეს საკუთარი გაზეთის მეშვეობით ძმებმა ხმა და ათასობით დევნილ თანატოლსაც მოუწოდეს, მიბაძონ მათ.

** * **

მარკუს ავრელიუსი: გავაკეთე რამე საზოგადო კეთილდღეობისათვის? მაშასადამე, მე მოვუტანე სარგებლობა ჩემს თავს. ნურასოდეს ნუ მოიშორებ ამ აზრს და ნურავითარ მდგომარეობაში ნუ აიღებ მასზე ხელს.

** * **

ადმოსავლური თქმა: ჭკვიანი ადამიანები სწავლობენ იმისათვის, რომ იცოდნენ, არარათბანი კი იმისათვის, რომ მათ იცნობდნენ.

** * **

შ. მონტესკიე: უსაქმო ადამიანი ყოველთვის ლაქლაქაა: რაც უფრო ნაკლებად ფიქრობ, მით უფრო ბევრს ლაპარაკობ.

** * **

პითაგორა: ხანმოკლე წარუმატებლობა სჯობია ხანმოკლე წარმატებას.

** * **

ლ. ფეიერბახი: ადამიანი მხოლოდ მაშინ აღწევს რაიმეს, როცა თავის ძალაშია დარწმუნებული.

** * **

ფეოდნიდი: მრავალნაირად გამოსცადე მეგობრების ხასიათი, განსაკუთრებით დაუკვირდი — ვინ როგორია სიბრაზის დროს.

** * **

ჰეგელი: ბედნიერების საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ გქონდეს უნარი საკუთარი "მე"-ს წრიდან გამოხვიდე.

** * **

ფ. ლაროშფუკო: ყველა უჩივის თავის მეხსიერებას, საკუთარ ჭკუას კი — არავის.

** * **

ლეონარდო და ვინჩი: რკინა იჟანგება, თუ უქმად დევს, დამდგარი წყალი მყაყდება ან სიცივეში იყინება, ადამიანის ჭკუა კი, თუ იგი არაფერში არ გამოიყენება, ხუნდება და ჭკნება.

** * **

პითაგორა: მარტოოდენ ჭკუას, როგორც ბრძენ მეურვეს, უნდა ვუჯერებდეთ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

** * **

ა. ფრანსი: ჭკუა, რაც არ უნდა ავიწროვებდნენ და უგულვებელყოფდნენ მას, საბოლოოდ მაინც იმარჯვებს, რადგან უიმისოდ ცხოვრება წარმოუდგენელია.

** * **

იაპონური ანდაზა: ნუ ითაკილებ იკითხო. უცოდინარობა უფრო სათაკილოა.

** * **

ინგლისური ანდაზა: სჯობს ათჯერ ჰკითხო, ვიდრე ერთხელ წახვიდე მცდარად.

** * **

კონფუცი: რა არის ცოდნა? თუ იცი - ამტკიცე, რომ იცი, თუ არ იცი - ამტკიცე, რომ არ იცი. ესაა ცოდნა.

** * **

ტ. ლივიუსი: გამარჯვების იმედი გამარჯვებას გვანიჭებს, გამარჯვებაში დარწმუნებულობა კი გვარომვეს მას.

** * **

გ. ლიხტენბერგი: - სიამაყე, როგორც კეთილშობილური გრძნობა, მუდამ გრძნობს თავის ნაკლოვანებებს; მხოლოდ ქედმაღლობა ვერ ამჩნევს მათ.

ტესტი

თინეიჯერებისათვის

ჭორიკანა ხარ თუ არა?

1. ვთქვათ, გაიგე, რომ შენმა დაქალმა თავის შეყვარებულს უღალატა, ეს ემაწვალი კი შენი საუკეთესო მეგობარია. როგორ მოიქცევი?

ა) საიდუმლოდ შევინახავ ამ ამბავს;

ბ) ქვეყანას გავაგებინებ;

გ) ტაქტიანად ვუამბობ ყველაფერს ჩემს მეგობარ ბიჭს;

დ) რადიოში დავრეკავ და შევუკვეთავ რაიმე სიმღერას თემაზე "რატომ მიმატოვე?" და ბიჭს გავაფრთხილებ, ამა და ამ დროს რადიოს მოუმინე-მეთქი.

2. ამხანაგებმა გადაწყვეტეს ფული შეაგროვონ და შენს დაქალს დაბადების დღისთვის საჩუქარი უყიდონ. ის კი გეხვეწება, საიდუმლო ვუამხილო. როგორ მოიქცევი?

ა) თავიდან შევეწინააღმდეგები, ‘ერე კი დავყვები და საიდუმლოს გავთქვამ;

ბ) უფრო მეტად გავასაიდუმლოებ საჩუქარს;

გ) ყველაფერს დაწვრილებით ავუწერ;

დ) ერთ სიტყვასაც ვერავინ დამაცდენინებს.

3. შეამჩნიე, რომ მეგობრების წრეში ახალი რომანი გაიბა. გაუზიარებ თუ არა ვინმეს საკუთარ აღმოჩენას?

ა) რა თქმა უნდა!

ბ) მხოლოდ ჩემს საუკეთესო მეგობარს გავანდობ;

გ) არ მინდა ჭორი გავავრცელო, ერთიც ვნახოთ და შევცდი!

დ) თვითონ წყვილს ვკითხავ, ჩემი დახმარება ხომ არ სჭირდებათ.

4. სკოლაში ყველაზე ადრე მიხვედი და მეზობელ მერხზე ვარდების უზარმაზარი თაიგული დანახე. გიკვირს, არ იცი ვისთვის არის განკუთვნილი ყვავილები. რას უზამ თაიგულს?

ა) ყურადღებით შევამოწმებ, რაიმე ბარათი ხომ არ ახლავს;

ბ) ისე მოვიქცევი, თითქოს არც შემიმჩნევია;

გ) დავიმალები და კლასში შემოსული ყოველი თანაკლასელის რეაქციას დავაკვირდები;

დ) გავიქცევი, ვინმეს მოვიყვან და ვარდებს ვაჩვენებ.

5. სკოლაში გრანდიოზული საღამოა. შენ დაქალებთან ერთად დგახარ და იცდი. რით დაიწყებთ ლაპარაკს?

ა) "ვნახოთ ერთი, ვინ ვის ჩაეხუტება!"

ბ) "შეხედე, როგორ გამოპრანჭულან ჩვენი გოგონები!"

გ) "მგონი, მოწყენილობა გველის..."

დ) "საინტერესოა, რა მუსიკას დაუკრავენ?"

6. მეგობრებთან ერთად ახალ ფილმს უყურებ. შენ ის ნანახი გაქვს და მოწყენილი ხარ. როგორ მოიქცევი, მოწყენილობისგან რომ არ მოკვდე?

ა) ყოველი საინტერესო მომენტის წინ შევძახებ ხოლმე: "აუჰ, იცით, ახლა რა იქნება?"

ბ) სიუჟეტიდან გამომდინარე ან ვიხითხითებ, ან ვისლუკუნებ;

გ) მთელი ფილმის კომენტირებას მოვყვები, ხომ შეიძლება, ვინმემ რამე ვერ გაიგოს?

დ) სხვა რამით გავერთობი.

7. შენი წრის გოგონები ბიჭებთან ურთიერთობაზე მსჯელობენ. ბოლოს შენი რიგიც დგება. რას უამბობ ამხანაგებს?

ა) ყველაფერს ვუამბობ, ოღონდ გავაფრთხილებ, რომ ყოველივე ჩვენ შორის უნდა დარჩეს;

ბ) "ასეთ თემაზე ლაპარაკში არასდროს ვმონაწილეობ!"

გ) ვუამბობ, რა კარგად ვართ ერთად, მაშინაც კი თუ ეს ასე არ არის;

დ) დაწვრილებით ვუამბობ, სად

დავდივართ მე და ჩემი შეყვარებული, როდის ვაკოცეთ ერთმანეთს პირველად.

8. შენ შემთხვევით გაიცანი გოგო, რომელთანაც შენი შეყვარებული დადიოდა. მან შენ შესახებ არაფერი იცის. რაზე ჩამოაგდებ საუბარს?

ა) შეეკვდები, რაც შეიძლება მეტი გავიგო მის შესახებ;

ბ) სიტყვას ბიჭებზე ჩამოვაგდებ, რათა მერე ჩემს მეგობარზე გადავიტანო საუბარი;

გ) საერთო ნაცნობებზე. მერე მათი მეშვეობით შევიტყობ, რას წარმოადგენს ეს გოგო;

დ) საერთოდ არ დაველაპარაკები იმ საფრთხობელას!

9. ატყობ, რომ სხვა თვალით დაუწყე ყურება ბიჭს, რომელთანაც კარგა ხანს მხოლოდ მეგობრობდი. საგონებელში ხარ ჩავარდნილი, იქნებ არ ღირს ურთიერთობის შეცვლა. როგორ მოიქცევი?

ა) დაქალთან გავიქცევი რჩევისთვის.

ბ) დავფიქრდები, იქნებ...

გ) დავცილდები და დიდხანს არ დავენახვები;

დ) საკუთარ გრძნობებს გავუმზელ.

10. წარმოიდგინე, რომ მონასტერში წასვლა გადაწყვიტე. ყველაზე მეტად რომელი პირობის ასრულება გაგიჭირდება?

ა) გაუთხოვრობა;

ბ) თავშეკავება ჭამაში;

გ) სრული მორჩილება;

დ) დუმილი. როგორ არ უნდა ვილაპარაკო, როცა მონასტერში ამდენი ქალია?

11. შენი მეგობარი ბიჭი თავის ძმაკაცებთან ერთად არჩევს ქალიშვილებთან ურთიერთობას, საკუთარ გამარჯვებებს. შემთხვევით შენს სახელს მოკარი ყური და...

ა) მათ ლაპარაკში ჩავერევი;

ბ) ჩემს მეგობარს სილას გავაწნავ;

გ) არ გამოვჩნდები და ბოლომდე მოვუსმენ;

დ) გავწითლდები და იქაურობს გავეცლები.

12. შეხვედრაზე, თეატრში უაღრესად ექსტრავაგანტურად ჩაცმულ-დახურულსა და შეღებილ-დავარცხნილ გოგოს მოკარი თვალი, რას იფიქრებ მასზე?

ა) "ტუტრუცანაა ვიღაცა!"

ბ) "აშკარად სხვა ვერაფრით მიიქცევს ვინმეს ყურადღებას და..."

გ) "ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს არის ბოლო მოდა?!"

დ) "ნაღდად ბიჭმა მიატოვა!"

13. ცდილობ, თვალი აღევნო ახალ ყურნალებს. რომელი რუბრიკები მოგწონს ყველაზე მეტად?

ა) ჰოროსკოპები;

ბ) ვარსკვლავთა ცხოვრება;

გ) მკითხველთა წერილები;

დ) ფსიქოლოგების, ექიმების, კოსმეტოლოგების და სხვა რჩევები.

14. როგორც იქნა, ერთი წუთით მოიცალე, დაქალებთან ტელეფონით სალაქლაქოდ. მაინც რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს ერთი წუთი?

ა) უსასრულოდ, რამდენსაც ტელეფონი და მშობლების ნერვები გაუძლებს!

ბ) დაახლოებით ერთი საათი, სანამ მთქნარება არ აგვიტყდება;

გ) ზუსტად ერთი წუთი!

დ) 15 წუთი: დანარჩენზე, რომ შეეხვდებით, მაშინ ვილაპარაკებთ.

15. დაქალს ფოტოალბომს ათვალიერებ, რომელშიც ძირითადად მისი და მისი მეგობარი ბიჭების სურათებია. ალბომს რომ დახურავ, რას იტყვი?

ა) "არ ვიცოდი, თუ ამდენი მეგობარი ბიჭი გყავდა!"

ბ) "ერთი და იმავე კაბაში ხუთჯერ როგორ გადაიღე სურათი?!"

დ) "ახლა კი, კეთილი ინებე, და ყველა ამ ბიჭზე მომიყევი".

16. ზოგჯერ ქუჩაში ძველ დაქალებს ხვდები, რომლებთანაც კარგა ხანია აღარ ამხანაგობ. როგორ გვხვდებიან ხოლმე?

ა) ისე იქცევიან, თითქოს ვერ მამჩნევენ;

ბ) მეხვევიან და სიხარულით ხტიან;

გ) ქუჩის მეორე მხარეს გადადიან;

დ) სიამოვნებით ჩერდებიან და მელაპარაკებიან.

ქულები:

1.	20	5	15	10
2.	10	20	5	15
3.	5	15	20	10
4.	15	20	10	5
5.	5	10	20	15
6.	10	15	5	20
7.	15	20	10	5
8.	10	5	15	20
9.	5	10	20	15
10.	15	20	10	5
11.	5	10	15	20
12.	20	15	5	10
13.	15	5	10	20
14.	5	10	20	15
16.	20	15	5	10

80-120 ქულა

როგორც კი ახალ ამბავს გაიგებ, მაშინვე მთელ ქვეყანას მოსდებ. შენ ყველაზე უკეთ იცი-უბნის ახალი ამბები და ყველა ირგვლივ მყოფის პირადი ცხოვრების წვრილმანები. ოღონდაც კი ყური მოჰკარ რამეს, ისეთ კუდებს გამოაბამ, რომ ირგვლივ მყოფნი გაოგნებულები რჩებიან. შეჩერდი: შენი ყველაზე დიდი მტერი საკუთარი ენაა.

125-195 ქულა

გამოტყდი: შენ თვითონაც რამდენჯერ გაწყრომიხარ საკუთარ თავს, ზედმეტი წამომცდაო. და თუ რამე ისეთი იცი, რაც სხვებისთვის უცნობია, ვიდრე ამ უთოდ საინტერესო ინფორმაციას ვინმეს გაუზიარებდე, ათჯერ დაფიქრდი. არა, ჭორიკანა არა ხარ, მაგრამ შენ ერთს ეტყვი საიდუმლოს, ის მეორეს დადასტურებს, მეორე - მესამეს და ასე გავრცელდება ხალხში.

200-290 ქულა

შეგიძლია კარგი დაქალების წრეში უწყინრად იჭორაო და ახალი ამბები გაარჩიო. ბინძური მითქმა-მოთქმა და ჭორების გავრცელება კი არამც და არამც არ გახასიათებს. თუ საიდუმლოს გაგანდობენ, არასდროს გათქვამ.

295-320 ქულა

ვერ იტან ჭორაობას და ტყუილ ლაქლაქს, ამიტომაც მხოლოდ საქმეზე ლაპარაკობ. ზოგჯერ იმდენად სერიოზული ხარ ხოლმე, რომ მოსაწყენიც კი ჩანხარ. ამდენად ზოგჯერ მაინც უნდა ილაპარაკო ყველაფერზე და არაფერზე, უბრალოდ ისაუბრე.

ᲗᲮᲣᲜᲔᲚᲘᲡ

ზამთარია. არემარე თოვლის საბანშია გახვეული. ყინავს, დრო-დადრო ქარბუქი ამოვარდება... ღრმა ძილს მისცემიან ზღარბები, ზაზუნები და მაჩვები, თხუნელა კი წამითაც არ ისვენებს თავის მიწისქვეშეთში.

თხუნელას ბუდე მშრალ გრუნტში, ხის ფესვების საფარქვეშ, მინდვრად კი ქვის ან კოლბოხის ქვეშ აქვს მოწყობილი. ბუდის საკნის და წრიულ გალერეებს ირგვლივ განათხარი დაფხვნილი მიწა მიუყვება. გათხრის დროს ცხოველი მიწაში მიიკვლევს გზას და თავის უკან გამაგრებულ მრგვალკედლებიან სოროს ტოვებს. ხშირად მთავარი შესასვლელები გარედანაც შეიმჩნევა: მათ თავზე ბალახი ყვითლდება და ხმება. პატარა მტაცებელი დღე-ღამეში სამჯერ – დილით, შუადღით და ღამე საცხოვრებელი გალერეების გავლით მიეშურება საკვების სორო-ხაფანგებისკენ. ამ სოროებს თხუნელა სხვანაირად აკეთებს. მთელი ზედმეტი განათხარი მიწა ზევით იყრება და იქ დამახასიათებელ გროვებს ქმნის. ისე რომ თუ სადმე პატარ-პატარა ბორცვების გროვას გადააწყდებით, იცოდეთ, რომ მათ ქვეშ თხუნელას სამფლობელოა. საკვების გზები ვიწრო და გრძელია, ზოგჯერ რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევს. ზაფხულობით თხუნელას გზები მიწის ზედაპირთან ახლოს გაჰყავს, შემოდგომა-ზამთრობით კი – სიღრმეში.

ძლიერი ყინვების დადგომამდე თხუნელა გარკვეული რაოდენობით ამარაგებს საჭმელს, უფრო ზშირად – ჭიაყელებს. თხუნელა დაჭერილ ჭიაყელას კი არ კლავს, არამედ ადაბლავებს, თავთან უკბენს და ისე. ასეთ მდგომარეობაში ნადავლი კარგახანს არ ფუჭდება და საკმაოდ დიდხანს ინახება. ყოფილა შემთხვევები, როცა ნატურალისტებს თხუნელას საკუჭნაოებში სამასამდე დაგორგლილი ჭიაყელა უთვიათ. თხუნელა დიდი ღორმუცელა ბრძანდება: დღეში იგი იმდენ საჭმელს ნთქავს, რამდენსაც თვითონ იწონის.

მიწისქვეშა ცხოვრებამ თავისი დაღი დაასვა თხუნელას გარეგნობას. იგი პატარაა – თხუთმეტ სანტიმეტრამდე სიგრძის ბრტყელი ტანი ლილვაკებიანივით აქვს, ცხვირ-პირი – ვიწრო და ხორთუმის მსგავსი, მოკლე და რბილი ბეწვი მჭიდროდ ეკვრის კანს. – ერთი სიტყვით,

ასე თხრის თხუნელა სოროს

ყველაფერი მიწის სიღრმეში მოგზაურობებისთვის არის გათვალისწინებული. თხუნელა მიწაში ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. აბა, სცადეთ და ქვიშიან ყუთში ჩასვით თხუნელა, იგი უმალ "ჩაყვინთავს" და ქვიშაში ჩაეფლობა. თხუნელას გულებამობრუნებული წინა თათები ხუთი ბრჭყალებიანი თითით არის შეიარაღებული: ცხოველი მათ ნიჩბადაც იყენებს და ბარადაც, გამალებით თხრის და იღებს ნიადაგს. სამაგიეროდ, უკანა ფეხები წვრილი და სუსტი აქვს.

მიწისქვეშეთის მარადიულ წყვდიადში თხუნელა ბრმად იკვლევს გზას. მის განუვითარებელ თვალებს არც ბადურა აქვს და არც ბროლი. თვალის ბუდე კი ციცქნა, ყაყაჩოს თესლისოდენა ჭრილს წარმოადგენს, რომელიც ჭუჭყისგან დასაცავად მოძრავი ქუთუთოებით არის დაფარული. თხუნელას არც ყურის ნიჟარები აქვს, თუმცა ამასთან დიდებული სმენით არის დაჯილდოებული, ამას გარდა, მას სრულყოფილი შეხების გრძნობა და კარგი ყნოსვაც აქვს. როგორც კი საბილოს იყნოსებს, ოთხფეხა მონადირე უმალ მიეშურება მისკენ, ორ-სამ დღეში მისკენ მისასვლელ გზებსაც გათხრის და თავის სამფლობელოში გაარბენინებს. მეორე მხრივ, კარგი ყნოსვა ხელსაც უშლის თხუნელას - იგი ვერ იტანს მკვეთრ სუნს და თუ სუნმა შეაწუხა, საცხოვრებელ ადგილს აუცილებლად გამოაცვლის. თუ თხუნელას თავიდან მოცილება გინდათ, შეგიძლიათ ნავთში ან კუპრში ამოვლებული ჩვარი იხმაროთ. სოფლის მეურნეები ასეც იქცევიან.

ყველაფრის მიუხედავად, თხუნელა მაინც სასარგებლო ცხოველია. გარდა იმისა, რომ ანადგურებს მწერებს, კერძოდ, მაისის ხოჭოს ჭუპრებს, ტკაცუნებს და სხვებს, ეს პატრა ცხოველი ნიადაგს აფხვიერებს, ხელს უწყობს მის დრენაჟს. თხუნელას განათხრებში მცენარე ფესვებს იდგამს, წყალდიდობის დროს ჩაედინება ჭარბი წყალი, ნიადაგის საღრმისეულ ფენებში აღწევს ჰაერი.

თხუნელას ბეწვი ძვირფასად ითვლება და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. ჩვეულებრივი თხუნელა შავია და ქვევით ფორეჯები დაუყვება. თუმცა შეიძლება ამ სახეობის წარმომადგენლებს შორის მოჩალისფრო-თეთრი, ნაცრისფერი და ყავისფერი ცხოველებიც შეგვხვდეს. თხუნელა წელიწადში სამჯერ: გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე იყრის ბეწვს.

ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისათვის"

1. ცნობილი საბავშვო ნაწარმოების "პინოქიოს თავგადასავლის" ავტორია იტალიელი მწერალი...

ა) ... ჯანი როდარი

ბ) ... კარლო კოლოდი

გ) ... ედუარდო დე ფილიპო



2. XIII საუკუნის ძეგლი, საფარის მონასტერი მდებარეობს...

ა) ... ახალციხის რაიონში

ბ) ... ახალქალაქის რაიონში

გ) ... ასპინძის რაიონში

3. ეს არის XVII საუკუნის დიდი ჰოლანდიელი მხატვრის... ავტოპორტრეტი

ა) ... ჰარმენს ვან რეინ რემბრანდტის

ბ) ... ე. დე ვიტეს

გ) ... ა. ვან რეისდალის

4. მსოფლიოში უძველესი უნივერსიტეტია 1209 წელს დაარსებული...



ა) ... კემბრიჯის უნივერსიტეტი

ბ) ... სალამანკის უნივერსიტეტი

გ) ... სორბონის უნივერსიტეტი

5. მტრედის ბარტყს ჰქვია...



ა) ... ბახალა

ბ) ... ხუნდი

გ) ... მართვე

6. ეს ღვთისმშობლის ტაძარი მდებარეობს ...

ა) ... პარიზში

ბ) ... რომში

გ) ... მადრიდში

ვიქტორინის წინა ტურის სწორი პასუხები:

1. ლადო გუდიაშვილმა; 2. ტრომბონი; 3. მიქელანჯელო; 4. ანდერსენი; 5. გიორგი ლეონიძე.

მიხდ. ხომ ყოხიას დედინაცვალიც ყ

ყეთილი იყოს

ათი წლის მაია ტვილდიანს ყველაზე მეტად ყვავილების ხატვა უყვარს. მის ერთ-ერთ ნახატზე პატარა, სასაცილო სპილოც კი კოპწია ყვავილის გარშემო ცეკვავს.

– ყვავილებს საოცარი სუნი აქვთ, ყოველ ყვავილს სხვისგან განსხვავებული, განუმეორებელი კაბა აცვია, ფერიც გამორჩეული აქვს და ხასიათიც. აი, მაგალითად, ია ნაზი და მორიდებულია. ლამაზმანი ვარდი ამაყია, მისი სურნელი გამაბრუებელია. ტიტა საღამოობით, დასაძინებლად რომ ემზადება, ფურცლებს ხურავს, თითქოს თვალებს ხუჭავს, დილით კი ისევ გადაიშლება, გაიღვიძებს, მზეს ესალმება — ასეთებად ხედავს და ხატავს მაიკო ყვავილებს.

– ისეთი წიგნები მომწონს, რომლებშიც ბუნების შესახებაა მოთხრობილი. ბუნება ძალიან მიყვარს და იმიტომ. ბუნებაში ყველაფერი მაოცებს — ამბობს მაია, — მწვანედ მობიბინე მინდორ-ველებიც, აქაფებული ჩანჩქერებიც, მდინარეებიც. ხატვითაც უფრო ხშირად ცხოველებს და ყვავილებს ვხატავ. რა საინტერესოა ჩიტებისა და ცხოველების ცხოვრებაზე დაკვირვება, ისინი ხომ ყველაფერს გრძნობენ და ხედავენ...

ზღაპრის გმირებსაც ვხატავ. ზღაპრები ძალიან მიყვარს, სულ ვკითხულობ სხვადასხვა ხალხების ზღაპრებს, ალბათ ნახატებშიც იმიტომ გაჩნდნენ კომბლე, ფერია, ბოროტი დედინაცვალი. ჩემი საყვარელი ზღაპარია "კონკია". იცით, ამ ზღაპარს რომ ვკითხულობდი, ჩემთვის სულ ვლოცულობდი, ნეტავ, კონკიას დედინაცვალი შშობელი დედასავით კეთილი გახდესმეთქი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მაგრამ სიკეთემ მაინც გაიმარჯვა, კონკია გაბედნიერდა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კონკიას ამბავმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ბოროტებაზე ბოროტებით არ უნდა უპასუხო, ახლა მე უკვე მტკიცედ ვიცი, რომ თუ გინდა ბოროტი ადამიანი კეთილად აქციო, ყველა მის ცუდ საქციელს სიკეთით უნდა უპასუხო.

მაია ძალიან ყოჩაღია, ყველაფრის გაკეთება იცის, ისეთ ხინკალს მოახვევს, ბევრ უფროსს შეშურდება. მშვენიერი ხელი აქვს, ქარგვაც ეხერხება და კერვაც. შეუძლია ძველი კაბა ისეთ სარაფნად გადააკეთოს, რომ ახალი გეგონებათ.

ზაფხულობით სვნეთში, სოფელ რცმელურში რომ ჩადის არდადეგებზე, ისე დატრიალდება ხოლმე, ლამის ბებიას აღარ დააცადოს საქმის კეთება — სახლსაც ალაგებს, ქათმებსაც უვლის, ფუტკარსაც, უმცროს ძმასაც ხშირად უტოვებენ ხოლმე უფროსები მოსავლელად.

მაგრამ ერთხელ... მობეზრდა მაიკოს შინ ყოფნა, ჩაავლო რვა წლის ძამიკოს, აჩიკოს ხელი და მდინარეზე წავიდა. გაშვებით კი გაუშვეს, მაგრამ დროც დაუნიშნეს, ერთ საათში აქ იყავიო. აბა, ერთი საათი რას ეყოფოდა, როცა მარტო გზას ოცი წუთი უნდებოდა! გაერთო, სახლი სულ გადაავიწყდა, ხოლო როცა ბანაობით გული იჯერა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა, კარგად მოსაღამოებული იყო. ცხადია, გაუჯავრდნენ, დატუქსეს, მარტო ბაბუა გამოესარჩლა, ისეთი რა მოხდა, გაერთვნენ ბავშვებიო...

თავის უახლოეს მეგობარ ნინო დათუნიშვილთან ერთად მაია მუსიკაზეც დადის. კომპოზიტორებიდან სხვებზე მეტად მოცარტი უყვარს. როგორც თვითონ ამბობს, იმიტომ რომ მის ნაწარმოებებში

ეროვნული ოქვენბანი

ყველაფერი ლამაზია, ისინი მელოდიური და ხალისიანია. ცეკვაზეც დადის. პროფკავშირების სასახლესთან არსებულ ქართული ცეკვის ანსამბლ "ალგეთში" პედაგოგების ნაზი ნიკლაურის და ირაკლი ცერცვაძის ხელმძღვანელობით ეუფლება ცეკვის ხელოვნებას. ყველაზე მეტად მოსწონს "სამაია" — ნაზი მოძრაობებისთვის, "ქართული" — ლამაზი ტანსაცმლისთვის და "აჭარული" — ძალიან მხიარული ცეკვაა და იმიტომ.

სასკოლო საგნებიდან კი ყველაზე მეტად რელიგიის ისტორია აინტერესებს და უყვარს. მაია ამბობს, რომ ეს საგანი მასწავლებელმა, თამარ ტატუაშვილმა შეაყვარა, რომელიც ისე საინტერესოდ უხსნის მოსწავლეებს ყველაფერს, რომ ყველა სულგანაბული უსმენს ხოლმე.

სიმღერაც უყვარს. აჩიკო ქართული სიმღერის ანსამბლში მღერის და, როგორც კი რაიმე სიმღერას წამოიწყებს, მაიაც უმალ აპყვება ხოლმე. და-ძმის საყვარელი სიმღერებია "ზამთარი", "იმერული მგზავრული", "შაირები".

მაგრამ ყველაზე, ყველაზე ძალიან მაიას მაინც დღესასწაულები უყვარს, როცა მოდიან მეგობრები, ნათესავები, ყველანი იღიმებიან, კეთილ სიტყვებს უუბნებიან ერთმანეთს, მხიარულობენ. დღეს ირგვლივ იმდენი ნაღვლიანი და შეწუხებული ადამიანია და მაიას უნდა, რომ უახლოეს მომავალში, თუნდაც მომავალ ახალ წელს, მის საყვარელ დღესასწაულზე, სევდა მათ სახეებზე სიხარულმა შეცვალოს და ამქვეყნად ყველა ბედნიერი იყოს.

ფეხვედე თუ არა მამას?

მე მამა არ მახსოვს, დედა მარტო მზრდიდა, ყოველთვის მეუბნებოდა, ჩათვალე, რომ მამა არა გყავსო. დედა არაფერს მაკლებდა, არც ახლა მაკლებს, რამდენიმე ადგილზე მუშაობს, ოღონდ მე ყველაფერი მქონდეს, ამხანაგებს არაფერში ჩამოვრჩე. რამდენჯერმე ვცადე, მეკითხა მამას შესახებ, მაგრამ სიტყვა გამაწყვეტინა, არ დამამთავრებინა. ამას წინათ კი როცა სახლში მარტო ვიყავი, ვიღაცა კაცმა დარეკა ტელეფონზე და ასე მითხრა მამაშენი ვარ და შენი ნახვა მინდაო. ვერაფერი ვუპასუხე, გულგახეთქილმა დავუკიდე ყურმილი. ისევ დარეკა და მთხოვა, მომისმინე, ყურმილს ნუ დამიკიდებ, შენ წინაშე დამნაშავე არა ვარო, გეხვეწები შემხვდიო. მოსმენით კი მოვუსმინე, მაგრამ არაფერი მიპასუხნია. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვუთხრა თუ არა დედას ამ სატელეფონო ზარის შესახებ?

ლელა, 13 წლის

ნამდვილად ძნელ მდგომარეობაში ჩავარდნილხარ. შენ არ იცი, რატომ არ არიან ერთად შენი მშობლები. დედას მარტო გაუზრდიხარ და დღესდღეობით ის არის შენთვის მთავარი ადამიანი. შეიძლება, მამაშენი ცუდი ადამიანი სულაც არ იყოს და თქვენთვისაც მხოლოდ სიკეთე უნდოდეს, მაგრამ დედის გარეშე ნურანაირ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ. აუცილებლად უთხარი დედას, მამამ რომ დარეკა, ვფიქრობთ, ამჯერად ის ბოლომდე მოგისმენს და ალბათ ქმართან განშორების მიზეზზეც გესაუბრება. გამორიცხული არ არის, რომ დედამ მამასთან შეხვედრის ნება დაგროთს.

ასეა, თუ ის, დედამ აუცილებლად უნდა იცოდეს ამ სატელეფონო ზარის შესახებ.

* * *

დედა ვერ მიგებს

მე და დედა, ყველაფერთან ერთად, მეგობრებიც ვართ. პატარაობიდანვე მიმაჩვია იმას, რომ გულახდილად ვუზიარებდი ყველა ჩემს გულისტკივილს, პრობლემას თუ სიხარულს. გასულ შემოდგომაზე 14 წელი შემისრულდა, იმის თქმა მინდა, რომ პატარა აღარა ვარ. სკოლიდან ექსკურსიაზე ვიყავით მცხეთაში და იქ სვეტიცხოვლის ეზოში სხვა სკოლელი ბიჭი გავიცანი. მომეწონა, ეტყობა, იმასაც მოვეწონე, იმიტომ რომ ჩვენი გაცნობიდან ერთი კვირის შედეგ

სკოლასთან დამხვდა, სახლამდეც მიმაცილა. გზაში ათას რამეზე ვლაპარაკობდით, დამშვიდობების წინ ტელეფონის ნომერი გამომართვა. რა თქმა უნდა, დედას ყველაფერი ვუამბე. უხმოდ მომისმინა და უბრალოდ გაიღიმა. მეორე დღეს ჩემი თანდასწრებით დედამ ტელეფონზე უპასუხა, შეცდომით რეკავთ, ჩვენთან ასეთი არავინ ცხოვრობსო. მეორეჯერაც რომ დარეკა ტელეფონმა და მე გადავწყვიტე ყურმილის აღება, დედამ არ დამაცალა, თვითონ აიღო, მაგრამ არაფერი უპასუხა, ყურმილი გადადო და დააყოლა, გაიჭირა საქმე, ვიღაც შეცდომით რეკავს, იდოს ცოტა ხანს ყურმილი გადადებულიო. ასე კიდევ რამდენჯერმე განმეორდა. მერე ის ბიჭი (სახელს შეგნებულად არ ვასახელებ) ისევ დამხვდა სკოლასთან და მისაყვედურა, არასწორი ტელეფონის ნომერი რატომ მომეცი. მე ყველაფერს მივხედე, მაგრამ არ შევიმჩნიე. რომ მივედი, დედას ეკითხე, რატომ მოიქცა ასე. მან კი ძალიან მკაცრი ტონით გამომიცხადა – არავითარი ბიჭები არ გამაყონო, თორემ ფეხს არსად გაგადგმევინებ, იცოდე, სახლში გამოგამწყვდევო. მოულოდნელობისგან ხმა ვერ ამოვიღე. მთელი ღამე ვერ დავიძინე, ბოლოს კი გადავწყვიტე,დედას არაფერი გავანდო, ის ჩემი მეგობარი ველარ იქნება, იმ ბიჭს კი არ დავკარგავ.

თეონა

დედაშენმა შეცდომა დაუშვა. ვერც კი მიხვდა, ისე დაკარგა შვილის ნდობა. ჯერ უნდა გაეგო, ვინ არის ის ბიჭი, მოესმინა შენთვის, იქნებ თვითონაც გაეცნო და მერე მიეღო გადაწყვეტილება. იმის შიშით, ჩემი შვილი ცუდს არავის გადაეყაროსო, წინდაუხედავად მოიქცა. კი მაგრამ სხვა ნაცნობ-ამხანაგი თუ მეგობარი ბიჭებიც ხომ გყავს და ხვალ-ზეგ უფრო მეტი გეყოლება. მოდი, იცი, როგორ მოიქეცი? ადექი და მშვიდად დაელაპარაკე დედას, აუხსენი, შესთავაზე იმ ბიჭის გაცნობა. იცოდე, ეს ისეთი ლაპარაკი უნდა გამოგივიდეს, რომ დედა ბოლოს და ბოლოს მიხვდეს, რომ მისი შვილი 5-6 წლის აღარ არის, რომ ეს თუ არა, სხვა ბიჭი, დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად გამოჩნდება მის გვერდით. ნუ იჩქარებ, ამ გადამწყვეტი საუბრისთვის შესაფერისი დრო და სიტუაცია შეარჩიე, დედის განწყობაც აუცილებლად გაითვალისწინე, არამც და არამც არ გაცხარდე, ფეხების ბაკუნსა და თავის ქნევას არ მოჰყვე, არც ის იძახო გაანჩხლებულმა, სულ ერთია მე ჩემსას გავიტანო. დედამ უნდა ივრძნოს, რომ თუ ვერ გაგიგებს, შენი მეგობრობის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს.

ნორა
ტატიაშვილი

რაზომ უყვარს ჩაქუჩი ლურსმანს?

(ზღაპარი)

მოდის ჩაქუჩი ბილიკზე და ხედავს, მიწაზე ლურსმანი გდია, უფრო სწორედ კი არ გდია, ჩაფლულია მიწაში და ოდნავღა სჩანს, დაჟანგულა კიდევაც, ცოტაც და დაიღუპება.

შეებრალა ჩაქუჩს ლურსმანი. მიწა გაჩიჩქნა, იწვალა და როგორც იქნა, ამოაძრო მიწიდან, გაათავისუფლა, მიწის ნარჩენები ჩამოაბერტყა, მიუსვ-მოუსვა, ჟანგიც შეაცალა, მოასუფლიერა და ფეხზე დააყენა.

— ეს რა მოგსვლია, ძმობილო? - ჰკითხა ჩაქუჩმა, როდესაც შეხედა, რომ ლურსმანმა თვალი გამოახილა. ლურსმანმა ერთი ღრმად ამოიოხრა, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვინმეს ეძებსო და უპასუხა:

— ეჰ, რა ვიცი, აბა, ჩემს პატრონს ჯიბეში ვეგდე. ჯიბე კი გახვრეტილი ჰქონია, ჩამოუვარდი და მერე თვითონვე დამადგა ფეხი. ბევრი ვეძახე, მიშველე-მეთქი, მაგრამ ვერ გაგაგონე. მერეც, ვინც გაიელოდა ბილიკზე, ყველას შევთხოვდი, შეეტყოროდი, მიშველეთ-მეთქი, მაგრამ ეტყობა, ჩემი ხმა არ ესმოდათ. ისინიც ფეხს მადგამდნენ და თანდათან მეტად ვეფლობოდი მიწაში. შენ რომ არა, ჩემო კარგო, ალბათ, მალე ჩემი აღსასრული დადგებოდა. თუ მიწა მთლად დამფარავდა, ჟანგიც შემჭამდა... — თქვა ეს, და დაპაღუპით გადმოსცივდა ცრემლები.

ჩაქუჩს შეებრალა ლურსმანი და მიეფერა, დამშვიდება სცადა.

— კარგი, დაწყნარდი, ახლა აღარა გიშავს-რა. თუ წინააღმდეგი არა ხარ, დავმეგობრდეთ, ერთად შემოვიაროთ ქვეყანა.

— წავიდეთ, წავიდეთ, გეთაყვა! შენს მეგობრობაზე უარს როგორ ვიტყვი, — არც დაფიქრებულა, ისე წარმოთქვა ლურსმანმა და სიხარულისაგან თავბრუდახვეული ჩაქუჩს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო და შეამჩნია, რომ სიმაღლით მისი ნახევარიც არ იყო, ხოლო სიგანით ათჯერ და უფრო მეტადაც ვიწრო იყო. უცებ გაიაზრა — ეს რომ ჩაქუჩმაც შეამჩნიოს, ნამდვილად დამჩაგრავსო. უმალ მოსცილდა ჩაქუჩს, ამაყად ასწია თავი მაღლა, წელში გასწორდა, გაიჭიმა და ომახიანად გაიმეორა: — წავიდეთ!

ჩაქუჩს ლურსმნის ასეთი მოქცევა არ გამოჰპარვია, მაგრამ არ შეიმჩნია, მხოლოდ ჩაეცინა და თავისთვის გაიფიქრა — ერთი ამას უყურეო!

გაუდგნენ ჩაქუჩი და ლურსმანი გზას, თავადაც არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ. ერთხანს ჩუმად იარეს. მერე სიჩუმე ლურსმანმა დაარღვია.

— შენ საიდანღა გაჩნდი აქ, ძმობილო?

— სრულიად შემთხვევით, — დაიწყო ჩაქუჩმა — პატარა ბიჭმა გამომიტანა გარეთ, ვითომ თამაშობდა, აბა, მე რა სათამაშო ვარ? – ხმაზე ნაწყენობა ეტყობოდა, – შემდეგ კი გზის პირას ბალახებში დამაგდო. მთელი დღე და ღამე ვეგდე ასე უპატრონოდ. ვიფიქრე, რადგან პატრონმა არ მომიკითხა, ეტყობა, არ ვჭირდები, ავდგები, წავალ და ახალ პატრონს მოვეძებნი, თორემ ასე გდებით ჟანგი შემჭამს-მეთქი. გზას დავადექი და შენც შემხვდი.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მიდიოდნენ ჩაქუჩი და ლურსმანი ბილიკზე გვერდიგვერდ, არაფრის ჯავრი არ აწუხებდათ. მშვენიერი ამინდი იყო, კარგ გუნებაზე იყვნენ. სიჩუმე ისევ ლურსმანმა დაარღვია, ამჯერად ტრაბახს მოჰყვა.

-მე ისეთი ძლიერი, ისეთი მარჯვე ვარ, ყველაფერი შეძიძლია!..

უსმინა, უსმინა ჩაქუჩმა, ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— აბა ერთი, ასე რომ იკვეხნი და ყურები გამომიჭედე ტრაბახით, მითხარი, რა შეგიძლია?

ლურსმანი ცოტა არ იყოს, დაიბნა და უცებ ვერაფერი მოიფიქრა.

— რა შემიძლია? - თქვა მან და თავი მოიქექა. შემდეგ კი განაგრძო, – რა შემიძლია და შემიძლია ფიცარი ფიცარზე მივამაგრო, ფიცარზე ან კედელზე რაიმე საჭირო ნივთი დავამაგრო, – ამაყი სახით შეჩერდა, დინჯი შემოიყარა და გაიჭიმა.

ჩაქუჩს ჩაეცინა, ერთი თავში ჩასცხო ლურსმანს და მიმართა:

— გაჩუმდი, შე ცინგლიანო, შენა!

— ვაი, ვაი! - დაიძახა ლურსმანმა და ნახევრად მიწაში ჩაერჭო.

ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფერს გაიგო. ისევ ჩაქუჩი მიეხმარა, აქეთ-იქეთან მიარტყა-მოარტყა, მერე ხელი გაუწოდა და მიწიდან ამოიყვანა.

— აი, ხედავ? - ნიშნის მოგებით უთხრა ჩაქუჩმა - რას ტრაბახობ? მე არ ვიცი, რაცა ხარ და რაც შეგიძლია? კი, მართალია, რაღაცის მაქნისი ხარ, მაგრამ ადამიანმა თუ არ მოისურვა და არ მოგვიხმარა, მას თუ არ დავჭირდით, ვერც შენ, და ვერც მე ვერაფერს გავაკეთებთ.

— ადამიანი? - იუკადრისა ლურსმანმა, — ადამიანს ვინა ჰკითხავს ჩემს ავსა და კარგს, ჩემს ასაგალ-დასაგალს? შენი არ ვიცი, და ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვარ, კარგად დაიხსომე, გასაგებია? – ეს ბოლო სიტყვა ლურსმანმა ხმამაღლა წარმოსთქვა და ამაყად ახედა ჩაქუჩს, რომელსაც კვლავ გაეცინა. გაიფიქრა, მოდი ახლა დი ნუ ჩასცხებ თავში ამას და ბოლომდე მიწაში ნუ ჩაადვრენო. ახია, ისე დაიჟანგოს და მიწად იქცეს, რომ სასაოცარი საქმე ვერ გააკეთოსო, მაგრამ გადაიფიქრა, აპატია უჭკეოს სულელური ლაპარაკი, მერეც მოვასწრებ ჩაკაკუნებასო.

კარგა ხანს იარეს. ჩაქუჩს გრძელი ფეხები ჰქონდა, ლურსმანს კი შედარებით მოკლე, ამიტომ ლურსმანს ძალიან ჩქარა უნდა ეკლო, რომ არ ჩამორჩენოდა და დაიღალა.

— ცოტა ხომ არ შეგვესვენა? - თქვა მან.

— დაიღალე? შევისვენოთ, - დაეთანხმა ჩაქუჩი და ისე რომ ბევრი არ უფიქრიათ, ორივენი იქვე, შუა ბილიკზე წამოწვნენ. მათთვის სულ ერთი იყო მზე და ნესტი, ბალახი თუ მიწა, რადგან არც დასცხებოდათ, არც შესცივდებოდათ, არც გვერდები ეტკინებოდათ. წამოწვნენ და მალე ჩაეძინათ.

არც გაუგიათ, მძინარეებს თავს როგორ წამოადგათ დურგალი პაპა.

— ბიჭოს, ამ ჩაქუჩს აქ რა უნდა? – გაუკვირდა პაპას. ჩაქუჩს დასწვდა და ხედავს, იქვე ლურსმანიც გდია. ისიც აღლო და ორივე თავის ყუთში ჩაადგო, რომელიც მკლავზე ჰქონდა წამოცმული.

მას შემდეგ ჩაქუჩი ერთგულად ემსახურება დურგალ პაპას.

ლურსმანმაც შეასრულა თავისი მოვალეობა. დურგალმა თავის მეზობელს სამზარეულოში იატაკი რომ დაუგო, იქ ერთ-ერთი ფიცარის დასამაგრებლად, სხვა ლურსმნებთან ერთად ის ლურსმანიც დააჭედა. ამით ამოიწურა მისი სამსახური. დღემდე იქ არის.

ჩაქუჩს ლურსმნები არც მანამდე ეხატებოდა გულზე, მაგრამ ამ მეტიჩარა, ბაქია ლურსმანთან შეხვედრის შემდეგ, განსაკუთრებით გაგულისებულია მათზე, და თურმე, ამის გამო, რომ სულ თავში სცემს. იმდენს ურტყამს, სანამ ბოლომდე არ ჩაჭედებს ხოლმე, ისე, რომ მარტო ქუდღა უჩანდეს.

ხანდახან კი, ისე გაბრაზებული ურტყამს ხოლმე თავში, რომ ლურსმანი წელში იღუნება. მაგრამ ადამიანი ისევ ამოაძრობს, ჩაქუჩი კი დაუწყებს გაღუნულ წელში ცემას, გასწორებას, შემდეგ კი ისევ თავში უბაოქუნებს და თან იძახის:

- ასე მოუხდება ბაქიას და მკვეხარას!

რატომ ვამბობთ ასე?

ალფა და ომეგა. დასაწყისი და დასასრული (ალფა და ომეგა ბერძნული ანბანის პირველი და ბოლო ასოებია). გამოთქმა ბიბლიიდან მომდინარეობს.

აქილევსის ქუსლი. იხმარება რაიმეს, ან ვინმეს ერთადერთი სუსტი მხარის, წერტილის, მოწყვლადი ადგილის მნიშვნელობით. ბერძნულ მითოლოგიაში აქილევსი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მამაცი გმირია. დედამისს, ზღვის ქალღმერთ ფეტიდას იმისთვის, რათა შვილი უწყვლადი ყოფილიყო, ამბროზიაში, წმინდა წყალში განუბანია ყრმა, ამასთან ქუსლით სჭერია იგი. ისე რომ წყალი არ შეხებია ქუსლს, რომელიც გმირის მოწყვლად ადგილად დარჩენილა. სწორედ ქუსლში მოუხვედრებია ისარი გმირისთვის პარისს ტროას ომში და მოუკლავს კიდეც იგი.

ქაღალდი არ წითლდება. ქაღალდი ყველაფერს ითმენს. ორივე ეს გამოთქმა ეკუთვნის რომაელ მწერალსა და ორატორს ციცერონს; მის წერილებში "შეგობრებისადმი" გვხვდება გამოთქმა: "Epistola non erubestic" - ნაწერი არ წითლდება, ანუ წერილობით შეიძლება გამოითქვას აზრები, რომელთა ზეპირად გამოთქმას ერიდებიან.

ქარიშხალი ჭიქა წყალში. ღელვა, ნერვიულობა უმნიშვნელო რამის გამო. გამოთქმა ეკუთვნის ფრანგ მწერალსა და მოაზროვნეს მონტესკიეს, რომელმაც ეს სიტყვები სან-მარინოს ჯუჯა რესპუბლიკაში ატეხილი პოლიტიკურ არეულობასთან დაკავშირებით იხმარა.

თვთრი ყვავი. იხმარება იშვიათი, სხვებისგან მკვეთრად გამორჩეული ადამიანის აღსანიშნავად. მოცემულია რომაელი პოეტის იუვენალის მე-7 სატირაში.

ქვის სროლა ვინმესთვის. იხმარება დადანაშაულების აზრით, მომდინარეობს სახარებიდან. იესომ უთხრა მწიგნობართ და ფარისეველთ, რომლებმაც მის საცდუნებლად, მრუშობაში მხილებული ქალი მიუყვანეს, "ვინც უცოდველია თქვენ შორის, პირველად იმან ესროლოს ქვა" (ძველ იუდეაში არსებობდა დამნაშავის დასჯა ქვებით ჩაქოლვით).

სიტყვის ვონა

ლეკმარხილა - ბატარა მარხილი, ჩვეულებრივ, შეშის მოსატანი.

ლეჯა - წენგოს ნაპობი, კაკალს გაცლილი წენგო.

ლუფხი - წვალში გახსნილი ფქვილი, წვალში გახსნილი წამოდუღებული ქატო.

ლუსკუმა - ზანდუკი, კიდობანი.

მაკვილაკი - ენამწარე, ავენა.

მარჩხი - 1. ჯრედი (თვალები); 2. თხელი, არაღრმა წვალი.

მახოხი - ქატოსაგან შეეზადებული, ქინძითა და ნიკრით შეკეპზული მკვავე შეჯამანდი.

მწკლარტე - მომქავო-მომწარო გემოსი.

ნაბული - ნადირობაში - მაღლის შედგომა და განაპვა მსხვერპლზე თავდასასხმელად.

ნაღლი - დაშაქრული ნუშის გული.

ნაერი - ავადმყოფური ამონაბორცვი ხეზე, როკი.

ოტროველა - ხვარე, ტლანქი; რეგვენი, შეუსმენელი ადამიანი.

ოყა - მველებური წონის ერთეული - უდრის დაახლოებით 1200 გრამს.

რა და რა ჰქვია რას და რას



1. მხარი 2. ფრთა 3. ხმალა 4. ველის ბოგორა
5. კვალის ბოგორა 6. უღელი 7. საკვეთელი 8. სახნისი

დასამახსოვრებელი სახელები

სოსოს და დათოს თამამი განცხადი

უფროსი ძმის მთავარი და ერთადერთი გატაცება პატარაობიდანვე გამოიკვეთა. ფორტეპიანოზე დაკვრა ხუთი წლისამ დაიწყო. სანამ ნოტებს ისწავლიდა, წაიღიღინებდა, თვითონვე ააწყობდა მელოდიას და უფროსებს ნოტებზე გადატანას სთხოვდა. ასე გაჩნდა ეტიუდები წყალზე, თოვლის პაპაზე. ცოტა რომ წამოიზარდა, ნიჭიერთა ათწლედში მიიყვანეს. პედაგოგ დიანა მელაძის კლასში დაიწყო მეცადინეობა. აბსოლუტური სმენის პატრონ, შრომისმოყვარე ყმაწვილს, რომ იტყვიან, "კოჭებში ეტყობოდა", რომ წარმატებული მომავალი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამასობაში ქვეყანა აირია, უამრავმა პრობლემამ იჩინა თავი. ხოლო როცა ყველაფერი დაწყნარდა, ბიჭი მე-10 მუსიკალურ სკოლაში გადაიყვანეს. სოსო რჩეულიშვილმა აქაც გააოცა მასწავლებლები, შეამოწმეს, გამოჰკითხეს, მოუსმინეს – სამხმოვანება, აკორდები, როიალზე შესრულებული და ნამღერი "ჩემო კარგო ქვეყანავ", "ქარი გიმღერის ნანასა" – ისიამოვნეს, გაიხარეს და უსიტყვოდ მიიღეს.

დღეს სოსო მე-10 მუსიკალურის მეშვიდე კლასის მოსწავლეა და უკვე კონსერვატორიის პროგრამას უკრავს. მისი პედაგოგი, სკოლის დირექტორი ტარიელ ბერაძე პირველი კლასიდან მოჰყვება სოსოს და თავს ბედნიერად მიიჩნევს, ასეთ მოსწავლესთან რომ უწევს მუშაობა.

ერთხანს კრივზე დადიოდა, მაგრამ პიანისტი და კრივი ვის გაუგიაო და მიატოვა. მას შემდეგ სხვაზე არაფერზე არც უფიქრია. მხოლოდ მუსიკაა მისი ერთადერთი გატაცება და ინტერესი. როცა უმცროსი ძმა, დათო ახალი ნაოპერაციევი იწვა და მთელ ბინაში მხოლოდ მისი ოთახის გათბობას ახერხებდნენ, სოსო გაყინულ ოთახში იჯდა და გათოშილი ხელებით უკრავდა. ზაფხულში ბათუმში რომ წავიდნენ დასასვენებლად, მამამ ურჩია, მათემატიკის სახელმძღვანელო წამოიღე, ცოტა წავიმეცადინოთო. სოსომ კი ნოტები წაიღო – ბეთჰოვენის მთავარის სონატის მესამე ნაწილი. ზღვიდან სახლში რომ ბრუნდებოდნენ, ეს ქალაქის მეორე ბოლოში გარბოდა, ნათესავის მეზობლის ინსტრუმენტს მიუჯდებოდა და უკრავდა. ყოფილა დღეები, როცა მაღალი წნევით შეწუხებულ ბებიას უთხოვია, ამ ერთ დღეს მაინც ნუ დაუკრავო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, – მაინც უკრავდა... სოსო რჩეულიშვილს წინ ფართო ასპარეზი ელის, ეჭვი არ არის, რომ თავისი ფართო ნიჭის, შრომისმოყვარეობის წყალობით და უფროსების ხელშეწყობით გზას გაიკვალავს ამ ასპარეზამდე და მისი სახით ძალზე საინტერესო შემოქმედი გვეყოლება.

უფროსისგან განსხვავებით, უმცროსმა ძმამ, დათომ ასე ადვილად ვერ მიაგნო მოწოდებას. ჯერ იყო და ოთხი წელი ვიოლინოზე იარა, მერე კლასიკური გიტარაც სცადა, ვერც იმას დაუდო გული ბოლომდე. დღეს დათო მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში არსებულ თემურ ქევხიშვილის სიმღერის ანსამბლ "ალიონში" მღერის და როგორც თვითონ ამბობს, ეს მისი საბოლოო არჩევანია. დათოს პირველი ხმა აქვს და ჯერჯერობით გამოსაცდელ ეტაპს გადის, წარმატების შემთხვევაში ძირითად ანსამბლ "დარიალში" ჩაირიცხება. ანსამბლის რეპერტუარიდან დათოს ყველაზე მეტად მოსწონს რევაზ ლაღიძის "კარკუჩით წამაიყვანეს", სიმღერები ფილმებიდან "ქეთო და კოტე" და "კეთილი ადამიანები", თუმცა ყველაფერს სიამოვნებით მღერის. დათოს ჩხირკედელაობაც ეხერხება, მარჯვე ხელი აქვს. თუ სახლში რამე გაფუჭდება – უთო, ელექტროგაყვანილობა თუ სხვა რამ – ხელოსნის ძებნა არ სჭირდებათ, ყველაფერს დათო აკეთებს. ამჟამად წიწილებისთვის სახლის მოწყობით არის დაკავებული, სულ რაღაცას აკეთებს, ჩიჩმაგურაობს. ამ გატაცებამ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ავიამოდელირების წრეში მიიყვანა და ისეთი პირი უჩანს, რომ დათოს თავის სამომავლო საქმედ თვითმფრინავთმშენებლობა ესახება. ვნახოთ, თუ ასე იქნა, ქვეყანას მისი სახით ერთი გატაცებული, მაძიებელი ავიაკონსტრუქტორი ეყოლება, რომელსაც, ყველაფერთან ერთად სიმღერაც ეცოდინება.

ისე, რომ დავიმახსოვროთ ეს სახელები – სოსო და დათო რჩეულიშვილები.

მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს

აკაკი შანიძე

დაუჯერებლად ბევრის გაკეთება შეძლო აკაკი შანიძემ მეცნიერებისთვის, თავისი ხალხისთვის, თავისი სამშობლოსთვის. იგი ბრძანდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, მანვე დაიცვა მის კედლებში ქართული მეცნიერებისათვის პირველი სადოქტორო დისერტაცია, ქართულ ენათმცოდნეობასაც მან ჩაუყარა საფუძველი და ქართული ენის სრული მეცნიერული გრამატიკაც მან შექმნა, იგი იყო ავტორი დიალექტოლოგიის, ტექსტოლოგიის, ეპიგრაფიკის, კავკასიოლოგიის, ალბანოლოგიის, არმენისტიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, რუსთველოლოგიის დარგში შექმნილი შვიდასამდე მეცნიერული ნაშრომის ავტორი...

და აი, ყოველივე ამის შემქმნელს დაბადების 100 წლისთავზე რომ ჰკითხეს, დაღლა თუ გიგრძნიათ ოდესმე ან შეღავათი თუ მიგიციათ საკუთარი თავისთვისო, მხცოვანმა მეცნიერმა ასე უპასუხა:

— დაღლა? არც კი ვიცი... მუდამ თავდადებით ვშრომობდი, სამეცნიერო მუშაობაში არავითარი შეღავათი არ მიმიცია საკუთარი თავისთვის და, ვფიქრობ, ერთი კაცის კვალობაზე ზოგი რამ კიდევაც გავაკეთე – ქართული ენის მეცნიერული გრამატიკა ძირითადად ჩემ მიერ არის შექმნილი, მევე შემოვიტანე ქართულ გრამატიკაში სხვადასხვა კატეგორიები, ხალხმა მიიღო, შეითვისა ისინი და მე კმაყოფილი ვარ ამით... ხოლო "ძველი ქართული ენის გრამატიკა", ჩემი აზრით ისეთი შენაძენია, რომ მე თავი მესახელება.

მეამაყება, რომ მონაწილეობა მაქვს მიღებული "ვეფხისტყაოსნის" ცალკეული შერყვნილი ადგილების გასწორება-დადგენაში... ისე რომ გული მაინცდამაინც არ მწყდება... არა, გულს ნამდვილად არ მაკლია... მგონი, რომ ჩემს ნამოღვაწარს ცოტა არ ეთქმის...

ცოტა კი არა, ძალზე ბევრი ეთქმის აკაკი შანიძის ნამოღვაწარს. ასი წელი იცოცხლა მან და შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ყველა მისი ფიქრი და საზრუნავი მშობლიური ენის გარშემო ტრიალებდა. რუდუნებით იკვლევდა და სწავლობდა დიდი მეცნიერი როგორც ქართულ, ისე კავკასიის ხალხთა ენებს, ლიტერატურასა და ფოლკლორს.

მის სახელთანაა დაკავშირებული ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების მეცნიერულ-ფილოლოგიური პუბლიკაციის საქმე, სხვადასხვა გამოცემათა სერიების დაფუძნება და კრიტიკულად დადგენილი და ფართო მეცნიერული აპარატით აღჭურვილი ტექსტების, ძველი ქართული ენის ძეგლების გამოქვეყნება, ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენა-გამომზეურება, ქართული ბიბლიური ტექსტების, ქართული ოთხთავის რედაქციების გამოცემა, გამოკვლევები ქართული დიალექტების შესწავლის დარგში, გრამატიკის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისთვის და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

წვეულებრივი საზომით აკაკი შანიძის ნამოღვაწარი ვერც გაიზომება და ვერც შეფასდება...

აკაკი შანიძე ახლანდელი სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღაში დაბადა 1887 წელს. სოფლის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა, მერე კი კლასიკური გიმნაზიის მესამე კლასში შევიდა. აქ იგი იმდენად კარგად სწავლობდა, რომ მეზუთე კლასიდან პირდაპირ მეშვიდეში ჩარიცხეს. გიმნაზიის შემდეგ სასწავლებლად პეტერბურგში გაემგზავრა და აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. აქ იგი აქტიურად ჩაება ივანე ჯავახიშვილის მიერ დაფუძნებული, "ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის" მუშაობაში. ამ წრის ძირითადი მიზანი ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენა და მეცნიერული კვლევაძიება იყო. მაშინ დაიწყო აკაკი შანიძის მეცნიერული მოღვაწეობა, რომელიც იმთავითვე სამშობლოს სამსახურთან იყო გაიგივებული და რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

მშობლიური ქართულის წიაღში ღრმად ჩახედულმა მეცნიერმა ზმამაღლა განუცხადა თავის ხალხს, ახალგაზრდობას: "ჩვენი ენა დიდი და არაჩვეულებრივი მოვლენაა და მას უდიდესი გფრთხილება, მოვლა და ხელისშეწყობა სჭირდება. ქართულმა სალიტერატურო ენამ დიდი ცვლილებები განიცადა, განვითარდა, მაგრამ ძირითადი ნიშნები უცვლელად შემოინახა და ამიტომაც იგივე დარჩა, რაც იყო..." მშობლიური ენის პატრონობა, მის შეურყვნელობაზე ზრუნვა უანდერძა ქართველობას, ხოლო მოზარდ თაობას, ახალგაზრდობას დაუბარა: "ცოდნა, დიან, ცოდნა გახლავთ ერთადერთი უძვირფასესი განძი, იგია უპირველესი საძიებელი... ხომ გახსოვთ დავით გურამიშვილის სიტყვები: "... თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი..." ჭეშმარიტად ასეა და ყმაწვილებმა, ახალგაზრდებმა სწორედ ცოდნის შეძენისათვის უნდა იზრუნონ. დიდი გულმოდგინებით, თავდადებითა და მონდომებით დაეუფლეთ ცოდნას.

რუსთაველი გავიხსენოთ: "დღეს არა, ხვალ მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია..." ასეა, ბატონო, ერთნი მიდიან, სხვანი მოდიან და იმისათვის, რომ თქვენ მიმავალთა ღირსეულად შეცვლა შეძლოთ, უნდა იშრომოთ, ისწავლოთ, შრომას, სწავლას, ცოდნას მოაქვს სიხარული, ბედნიერებაც, სიბრძნეც... ვერც სამშობლოს გამოადგებით ცოდნის გარეშე"...

ოდოშხერი

თეა სიბაშვილი თბილისის №1 კლასიკური გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლეა. ლექსებს ჯერ ჩუმად, თავისთვის წერდა, მერე კი ამის შესახებ მშობლებმაც გაიგეს და მასწავლებლებმაც. თეას საყვარელი პოეტია ანა კალანდაძე. თეას ძალიან უყვარს დეტექტივების კითხვა, თავისუფალ დროს კი ხატავს კიდეც. გოგონა მანანა ბეგიაშვილის ნორჩ შემოქმედთა სტუდიაშიც დადის და მოსწავლე ახალგაზრდობის ნორჩ ჟურნალისტთა წრეშიც. თუმცა ბევრი რამ აინტერესებს და იტაცებს, გამოკვეთილად მაინც ჟურნალისტობაზე ოცნებობს.

ია

გავიდა ჟამი...
დადგა გზაფხული,
აშრიალდება ხეთა ფოთლები,
და მინდვრის ჰირას ამოვა ია
ნაზი სურნელით და განაზებით,
და ერთ სევდიან წვიმა საღამოს
დაჭნება ია და წავა ზეცად,
ია სადღაა? მითხარი, ერთი,
იის სურნელი სად გაქრა ნეტავ?

წვიმის წვეთები

წვიმის წვეთები ეცემა ციდან
და დაასველა მთელი მიდამო,
წვიმის წვეთები სიმღერად იქცა
და აამღერა მთელი სამყარო.
წვიმის წვეთებმა დაიწყო ცეკვა
სიამაყით და გახალისებით
და გაახსენა დიდებს ბავშვობა
მონატრებით და სიამოვნებით.

გაჭირვება

საქართველოში ბევრია უფულო,
საქართველოში ბევრია მწყურვალი,
საქართველოში ბევრი
მათხოვრობს
გაჭირვებული და დამაშვრალი.
რა დრო დაუდგა ჩვენს
ქართველობას -
სუფევს სუფევლგან უმუშევრობა...

მწუხრის გარეგი წიწამურიდან

ვარდო შერჩენიათ თეთრი
წინწკლები,
ირგვლივ — სიჩუმე სამარისებრი,
და წიწამურში გაისმა სროლა,
სროლა ქართველთა
თავზარდამცემი,
ამ დროს განგმირეს მგოსანი ჩვენი
და დაირეკა მწუხრის ზარები...
ქართველი ხალხი ილიას
გლოვობს,
ქართველი ხალხი ძაძებჩაცმული...
სული კეთილი წავიდა ჩვენგან,
ზეცას ამაღლდა და მოგვწედა მარად,
საამწუხაროა, მაგრამ ასეა...
ირგვლივ — სიჩუმე სამარისებრი.

ოდოშხერი

იცოდით, რომ...

აზია

სახელწოდება აზია ძველსემიტური, ფინიკიური ენიდან მოდის. ფინიკიელებმა თავიანთი ქვეყნიდან აღმოსავლეთით მდებარე მხარეს "ასუ" დაარქვეს, რაც "აღმოსავლეთს" ნიშნავს. დროთა განმავლობაში "ასუ" - "აზუდ", შემდეგ კი "აზიად" იქცა.



ევროპა

"ასუს" საწინააღმდეგო, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მხარეს ფინიკიელებმა "ირიპის", "ერეპი", "მზის ჩასვლის ქვეყანა", "დასავლეთის ქვეყანა" დაარქვეს. ამ სიტყვამ თანდათან იცვალა სახე და ბოლოს "ევროპად" გადაიქცა.

აფრიკა

კართაგენის არსებობის დროს (კართაგენი ჩრდილო აფრიკაში იყო) აფრიკას "ლიბია" რქმევია. ამ ქვეყნისათვის, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სამხრეთით მდებარეობს, "აფრიკა" ბერძნებს დაურქმევიათ, ერთ-ერთი აქაური ტომის - "აფრების" სახელწოდების მიხედვით.

ავსტრალია

ვიდრე ევროპელები აღმოაჩენდნენ, ავსტრალიას სხვა სახელი ერქვა. იგი პირველად ჰოლანდიელებმა აღმოაჩინეს და "ახალი ჰოლანდია" დაარქვეს. შემდეგ, ჯეიმს კუკის თანამგზავრებმა მას "ავსტრალია" უწოდეს. "ავსტრალია" ლათინურად "სამხრეთს" ნიშნავს.



ანტარქტიდა

ეს სახელწოდება ორი სიტყვისაგან შედგება: "ანტ" და "არქტ". "ანტ" ბერძნულად დათვს ნიშნავს (ბერძნები დიდი დათვის თანავარსკვლავედის საშუალებით ავნებდნენ ჩრდილოეთს). აქედან დაერქვა ჩრდილო-პოლარულ მხარეს არქტიკა. "ანტი" - ნიშნავს საწინააღმდეგოს, ასე რომ, ანტარქტიკა, ანტარქტიდა, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: "არქტიკის საწინააღმდეგო მხარე".

ფოტოსურათზე აღბეჭდილია ორი კვერცხი - ყველაზე პატარა და ყველაზე დიდი. ვფიქრობთ, უმრავლესობა ადვილად მიხვდება, რომ ყველაზე პატარა კვერცხი ეკუთვნის კოლიბრის. საოცარია ამ ციცქნა ფრინველის სამას ოცამდე სახეობას ითვლიან და ყველა მათგანი დასავლეთ ნახევარსფეროში ბინადრობს, ცეცხლოვანი მიწიდან, ალასკასა და ლაბრადორამდე.

გიგანტური კვერცხი ეკუთვნის „ფრინველ-სპილოს." (ასე მას ინგლისელები ეძახდნენ). ამ უზარმაზარი ფრინველის სიმაღლე 3-5 მეტრს აღწევდა, ხოლო წონა – ნახევარტონას, კვერცხს კი, თავად ხედავთ, რამხელას სდებდა. 1851 წელს სავაჭრო ფლოტის ერთ-ერთმა კაპიტანმა პარიზის მუზეუმს გიგანტი ფრინველის ორი კვერცხი აჩუქა. თითოეული მათგანის სიგრძე 32, დიამეტრი კი 22 სანტიმეტრი იყო. ყოველ კვერცხში რვა ლიტრამდე წყალი ან სირაქლემას რვა კვერცხის შიგთავსი ჩაეტეოდა. ერთი ასეთი კვერცხისგან დამზადებული ერბოკვერცხი 70 ადამიანს დაანაყრებდა. ზოოლოგებმა მადაგასკარის გიგანტურ სირაქლემას პიორნისი უწოდეს. მადაგასკარელებს მიაჩნიათ, რომ ეს ფრინველი გასული საუკუნის შუა ხანებში ჯერ კიდევ ბინადრობდა ჭაობიან ადგილებსა და უდრან ტყეებში. ამჟამად ეპიორნისი გადაშენებულად ითვლება.

ჩვენ და ბარემ

ოზონის ხვრელი

თხუთმეტი წლის წინათ ბრიტანეთის მეტეოროლოგიური სამსახურის მუშაკებმ პირველად აუწყეს სამეცნიერო საზოგადოებას იმის თაობაზე, რომ ანტარქტიდის ტერიტორიაზე სექტემბერ-ოქტომბერში ატმოსფეროში შესამჩნევად ქვეითდება ოზონის კონცენტრაცია. ნახევარი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ამერიკულ თანამგზავრ "ნიმბუს-7"-ით მიღებული მონაცემები. ცნობები დადასტურდა. მალე ამერიკელები გაემგზავრნენ ანტარქტიდის სადგურ "სამხრეთ პოლუსზე", სადაც გაზომეს ოზონის განაწილება ატმოსფეროს ვერტიკალურ ფენებში და დაასკვნეს: ანტარქტიკული გაზაფხულის განმავლობაში 20-25 კილომეტრის სიმაღლეზე ოზონის ფენა საგრძნობლად მცირდება. ჩნდება ვეება, 15 მილიონი კვადრატული კილომეტრის ზომის "ხვრელი", რომელიც თითქმის მთელ მეექვსე კონტინენტს მოიცავს. ასეთივე გაზომვები ჩაატარეს იაპონელმა სპეციალისტებმა. მათ დაადგინეს ოზონის კონცენტრაციის შემცირება 50, ზოგიერთ რაიონში კი 90 პროცენტით. ინგლისელ მეცნიერთა პროგნოზით, თუ ოზონის კონცენტრაცია 50 წლის შემდეგ ოთხ პროცენტით დაეცემა, ეს ძალზე შემაშფოთებელი პროგნოზია, რამდენადაც ლაპარაკია ოზონის კონცენტრაციის გლობალურ დაცემაზე მთელ პლანეტაზე. თუ "ოზონის ხვრელი" ეკვატორულ ზონაში გაჩნდება, მისი ბიოლოგიური ეფექტი მეტისმეტად სახიფათო აღმოჩნდება ცოცხალი ორგანიზმისათვის. ოზონის ფენა პლანეტის თავისებური ბუნებრივი ფარია: იგი შთანთქავს მზის ულტრაიისფერი რადიაციის დიდ ნაწილს, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ყოველივე ცოცხალისათვის. ეს ფარი ძალზე თხელია – მისი საერთო სისქე სამი კილომეტრი თუ იქნება. და საკმარისია იგი დაირღვევს, გაჩნდეს ხვრელი, რომ სწავლულთა ესოდენ შეშაფოთებელი წინასწარმეტყველება ახდება.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ოზონის ფენა არამც და არამც არ უნდა დაირღვეს.

რისგან ჩნდება "ხვრელი"? ჰიპოთეზები მრავლადაა.

არის, მაგალითად, აზრი, რომ ზემოაღნიშნული ფენომენი წმინდა ბუნებრივი წარმოშობისაა. მისი მომხრეები იმოწმებენ მზეს, უფრო სწორად მზის აქტივობას. სქემა ასეთია: ატმოსფეროში ბლომად არის აზოტი; მზის აქტივობის გავლენით აზოტის ჟანგის რაოდენობა სამხრეთ ნახევარსფეროს შუა განედებში იზრდება, მისი მასა გრავდება სტრატოსფეროში, ჰაერის ნაკადების დენება კი მას პოლუსისაკენ მიერეკება. აქ, შედის რა ფოტოქიმიური რეაქციაში ოზონთან, ეს ნაჟანგი იწვევს "ხვრელების" წარმოქმნას.

კიდევ ერთი ჰიპოთეზა ამ ანომალიის წარმოქმნის თაობაზე. იგი ხსნის, რატომ ჩნდება "ხვრელი" მაინდამაინც გაზაფხულზე. ანტარქტიდაზე ტემპერატურის რეჟიმის თავისებურება ისეთია, რომ პოლარული ზამთრის პერიოდში ჰაერის ნაკადი სამხრეთ ნახევარსფეროს შუა ეკვატორული განედიდან აქ ვერ აღწევს. ზამთრობით მხოლოდ დახშული ქარაშოტი ცირკულირებს, ესე იგი, "სუფთა ჰაერის", მათ შორის ოზონის მოწოდება არ ხდება. ხოლო იმ ოზონს, რომელიც ამ ქარაშოტის შემადგენლობაშია, აი, რა ემართება: მთავრდება ზამთარი; მატუალობს მზის აქტივობა და ეს სტიმულს აძლევს ზემო ატმოსფეროში ფოტოქიმიურ პროცესებს. სწორედ აქ ამყარავნებენ თავის არსებობას ყინულის უწვრილესი კრისტალები, რომლებიც დაგროვებული იყო სტრატოსფეროში, დავუშვათ, ულკანური ამოფრქვევის შედეგად. გაზაფხულის მზე აორთქლებს ამ კრისტალებს, ისინი რეაგირებენ ოზონთან და ღუბავენ მას! აი, ასე ჩნდება "ხვრელი". შემდეგ, როცა დახშული პოლარული ქარაშოტების დრო გაივლის და ანტარქტიდისაკენ დაიძვრება ოზონით გამდიდრებული სუფთა ჰაერის მასები, "ხვრელი" პირს შეიკრავს.

ამერიკელთა მიერ ჩატარებულ კვლევების შედეგად გამოირკვა, რომ ატმოსფეროში მართლა არსებობს არაბუნებრივი შენაერთები. გაზაფხულზე იმ რეგიონებში, სადაც ჩნდება "ოზონის ხვრელი", აღმოჩენილი იქნა შენაერთები ქლორისა და ფტორის მაღალი კონცენტრაციით. ამით ანტარქტიკული ფენომენის საიდუმლო ბევრმა სწავლულმა ამოხსნილად ჩათვალა. ბუნებრივი პროცესების წვლილი ოზონის ფენის რღვევაში უმნიშვნელოა, ქლორი, ფტორი დ მათი მსგავსი გაზები – აი, მთავარი დამნაშავენი!

მსოფლიოში ფართოდ აწარმოებენ და იყენებენ ქლორფტორწყალბადის შენაერთებს. ატმოსფეროში ისინი ხვდებიან აგრეთვე საყოფაცხოვრებო მაცივრებიდან, რეფრიჟერატორებიდან, საღებავებიანი პულვერიზატორებიდან. მათვე მიეკუთვნება ნახშირის, ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი გაზის წვის პროდუქტები, აგრეთვე ბევრი გადამამუშავებელი საწარმოს გაზისმაგვარი გამონაბოლქვები – ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ტონა! ქლორის ჟანგის ერთი მოლეკულა კი ოზონის 100 მოლეკულას ანადგურებს.

მიუხედავად ამისა, დამღუპველი ქიმიური შენაერთების წარმოება გრძელდება. მაშასადამე, საშიშროებაც მატუალობს? თუ "ოზონის ხვრელი" მხოლოდ გაზაფხულზე და ისიც ორი თვის მანძილზე გაჩნდება – არც ისე საშიშია, მაგრამ თუ იგი პლანეტის თავზე გამუდმებით იარსებებს და თანაც არა მარტო ერთ რომელიმე რეგიონში, და ამით გზას გაუხსნის მზის რადიაციას დედამიწის ზედაპირისაკენ, მაშინ კატასტროფა გარდაუვალია!

რჩება ერთი: ან უნდა საერთოდ შეეწყვიტოთ ან უნდა შევამციროთ ქლორფტორწყალბადის შენაერთების გამოშვება. ამ მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადაიდგა. თავდაპირველად ვენაში, შემდეგ მონრეალში ხელი მოეწერა კონვენციასა და ოქმს ოზონის ფენის დაცვის თაობაზე. ეს და მრავალი სხვა დოკუმენტი დაარეგულირებს ოზონისათვის საშიშ ნივთიერებათა წარმოებასა და მოხმარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშიშროების საბჭო

პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი ორგანოა და მოქმედებს ყველა იმ წევრის სახელით, ვინც წესდებით ვალდებულია დაემორჩილოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას. მხოლოდ მას შეუძლია მიიღოს ღონისძიებანი მშვიდობის დასამყარებლად (თვით შეიარაღებული ძალების გამოყენებითაც კი).

ეკონომიკური და სოციალური საბჭო

შედგება 27 წევრისაგან, მათგან 9 კაცს ყოველწლიურად ირჩევენ სამი წლის ვადით დაუყოვნებლივი გადარჩევის უფლებით. საბჭოს მოვალეობაა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურის, ჯანმრთელობის, განათლებისა და სხვა საკითხები. იგი იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს, გენერალური ასამბლეისათვის ადგენს პროექტებს, ცხოვრებაში ატარებს მის რეზოლუციებს და სხვა.

იუნისეფი

unicef
გაეროს ბავშვთა ფონდი

იუნისეფი (UNICEF) გაეროს ბავშვთა ფონდი (United Nations Children's Fund). 1946 წლის 11 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ბავშვთა დახმარების სპეციალური ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ. შედეგად შეიქმნა იუნისეფი. ამ ორგანიზაციის მუშაობაზე დაყრდნობით, 1959 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად გამოაცხადა "ბავშვის უფლებები". გაეროს სხვა სპეციალური ორგანიზაციებისგან განსხვავებით, იუნისეფის დაფინანსება ნებაყოფლობით საწყისებზე ხდება, ასეა დღემდე. ეს დაფინანსება შედგება მთავრობების შენატანების, კერძო, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და შემოწირულობების და მისალოცი ბარათების (მთელ მსოფლიოში) გაყიდვით შემოსული თანხებისგან. დაწყებული 1950 წლიდან, გაეროს ბავშვთა ფონდი მთავარ ყურადღებას უთმობს განვითარებად ქვეყნებში ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

იუნისეფის სამდივნო ნიუ-იორკშია, განყოფილებები კი - ჟენევაში და რიგ განვითარებად ქვეყნებში. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელია ბატონი ბორს ტოლსტოპიატოვი.

1965 წელს იუნისეფი დაჯილდოვდა ნობელის პრემიით მშვიდობის დარგში.

მეურვეობის საბჭო

ამ საბჭოს უშუალო მოვალეობაა ხელი შეუწყოს სამეურვეო ტერიტორიათა დამოუკიდებლობასა და თვითგამოკვლევას.

საერთაშორისო სასამართლო

უფლებამოსილია გადაჭრას დავა სახელმწიფოთა შორის, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა დარღვევით არის გამოწვეული. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომლებიც გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ ირჩევა ცხრა წლის ვადით დაუყოვნებლივი გადარჩევის უფლებით.

სიცილის გაკვეთილი

☺ ☺ ☺

დაწყებით კლასში მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

— ბავშვებო, ვინ იცის ათამდე თვლა?

ყველამ ერთდროულად ასწია ხელი.

— კარგია! ათის შემდეგ?

ხელი პატარა ჟაკომ ასწია.

— ყოჩაღ, ჟაკო, აბა, გასმენთ!

— ათი, ვალეტი, ქალი, მეფე, ტუზი...

☺ ☺ ☺

— სად დაიკარგე, ბიჭო, შენს ძებნაში სული დაგვეღლია — უსაყვედურა დედამ გუსტავს, რომელიც სიამოვნებისა და კმაყოფილებისაგან სახეგაბადრული დაბრუნდა შინ.

— მაიერებთან ვიყავი.

— ნუ მოაბეზრებ თავს. მათ ახლა სტუმრები ჰყავთ და შენთვის არა სცალიათ.

— რას ამბობ, დედიკო! დამინახეს თუ არა, ერთხმად მომაძახეს: შენღა გვაკლდიო.

☺ ☺ ☺

— რა არის კუნძული?

— წყლით შემოფარგლული ხმელეთი.

— კეთილი, ნახევარკუნძული რაღაა?

— კუნძულის ნახევარი.

☺ ☺ ☺

— აბა, მითხარი, რა ფორმისაა დედამიწა?

— მრგვალია, ბატონო მასწავლებელო.

— საიდან იცით?

— გლობუსიდან.

☺ ☺ ☺

— სკოლაში წასვლის წინ ხელებს არ ვიბანავ.

— რატომ?

— რა საჭიროა, მე ხომ გაკვეთილზე ხელს არასრდეს არ ვწევ.



☺ ☺ ☺

— დღეს ეზოში რატომ არ იყავი?

— დრო არ მქონდა, მამას ვეხმარებოდი ჩემი საშინაო დავალების შესრულებაში.

☺ ☺ ☺

— ჩემო ბიჭუნა, მინდა რაიმე საჩუქრით გაგახარო, მაგრამ წინასწარ შენს მასწავლებელს უნდა ვკითხო, როგორ სწავლობ, — უთხრა ოტოს სტუმრად მისულმა დეიდა ამალიამ.

— თუ მართლა ჩემი გახარება გინდა, სჯობს არა ჰკითხო, — მიუგო ოტომ.

☺ ☺ ☺

— მამაჩემი სულ ადვილად სწევს დიდ ქვას, - დაიტრაბახა ბიჭმა.

— დიდი ამბავი, მამაჩემს სამი იმოდენა ქვის აწევა შეუძლია, - შეეცილა მეორე.

— მამაჩემი კი სულაც არ სწევს ქვას, მას მოადგილე ჰყავს, — ამაყად დასძინა მესამემ.

☺ ☺ ☺

დედამ ახალშეძენილ პიანინოზე დაუკრა და თავის ექვსი წლის ბიჭუნას ჰკითხა:

— მოგწონს, ჩემო პაწიავ?

— მაღალი კლასია, - მიუგო მან ხელების ფშვნეტით, ისე, რომ გარწყინებული თვალები პედალისათვის არ მოუშორებია, — ოღონდ, გაზი უფრო თანაბარზომიერად უნდა მისცე.

☺ ☺ ☺

— გზაზე ერთი მეორის მიყოლებით შვიდი ძროხა მიდის. რომელს შეუძლია თავი მოაბრუნოს და თქვას: მე ვხედავ ექვს წყვილ რქასო?

— რასაკვირველია, პირველს.

— არა ხარ სწორი, ბობი. ძროხები საერთოდ არ ლაპარაკობენ.

ესეც თქვენი უილიამი!

მაღალი, ტანადი, ქერა თმა, სწორი სახის ნაკვთები და მშვენიერი ღიმილი - ასეთია პრინც ჩარლზისა და განსვენებული პრინცესა დიანას უფროსი შვილი, მისი სამეფო უდიდებულესობა უელსის პრინცი უილიამ არტურ ფილიპ ლუისი შესახედად. რა იმალება საუკეთო გარეგნობის უკან? როგორი ადამიანია ინგლისის ტახტის რიგით მეორე მემკვიდრე? როგორია ურთიერთობაში? როგორი დამოკიდებულება აქვს მშობლებთან? რას ფიქრობს და რას აკეთებს?

უილიამსს შარშან 18 წელი შეუსრულდა. პრესტიჟული იტონის კოლეჯის დამთავრების შემდეგ თითქმის ერთი წელი უნივერსიტეტში შესვლამდე პრინცი თავისუფალი იყო და შეეძლო ეკეთებინა ყველაფერი, რაც მოესურვებოდა, ცხადია, "სამეფო ნორმების" ფარგლებში. ამ ხნის განმავლობაში უილიამმა მონაწილეობა მიიღო 10 კვირიან ექსპედიციაში ჩილეში. მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომნი რამდენიმე დღეს ტელევიზორს იყვნენ მიჯაჭვულნი და თვალს ადევნებდნენ, როგორ ეზიდებოდა ვინძორთა შთამომავალი მორებს, როგორ ანთებდა ცეცხლს ღუმელში, ასობდა პალოებს მიწაში და... თქვენ წრმოიდგინეთ, საკუთარი ხელით რეცხავდა ტუალეტს. ბრიტანელებმა ირწმუნეს, რომ ჭაბუკი პრინცი თავმდაბალი, მორიდებული და მუყაითი ყოფილა და სულაც არ მოაქვს თავი თავისი წარმომავლობით. ერთი სიტყვით, გააწნია ყველა ის თვისება, რომლებიც ასე ხიბლავდა ადამიანს უილიამის დედაში.

თვითმხილველები ყვებიან, რომ უილიამი საკმაოდ მალე ჩაეწერა რახბში და ამხანაგებს პატივისცემაც კი დაამსახურა. ეს კი არც ისე იოლი იყო. ექსპედიციის ყოველი მეხუთე მონაწილე "არაკეთილსაიმედო ოჯახიდან" იყო. ბევრი უმუშევარი იყო, ნარკოტიკებიც ჰქონდა ნაგები და პოლიციასთანაც დაბაბული ურთიერთობა ჰქონდა. თავად პრინცს ყველაზე მეტად ის მოეწონა, რომ ირგვლივ მყოფნი მას ისე ეკარ ექცეოდნენ, როგორც "ცისფერისსხლიან" მემკვიდრეს, არამედ როგორც ჩვეულებრივ თანატოლს. სიტყვამ მოიტანა და ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის უფროს შვილს უნდა, რომ მასთან შეხვედრისას თავს არ უხრიდნენ, არ უწოდებდნენ "სერ"-ს და არ მიმართავდნენ, თქვენო უდიდებულესობავო. უბრალოდ უილიამი დამიძახეთო, – გამოცხადებული აქვს ჭაბუკ პრინცს, რომელმაც გადაწყვეტა ჯერ არ მიიღოს თავისი ტიტული და მასთან დაკავშირებული ყველა პატივი. ამასობაში ვინძორთა ახალგაზრდა შთამომავალი სერიოზულად ემზადება წმინდა ენდრიუს სახელობის პრესტიჟულ შოტლანდიურ უნივერსიტეტში შესასვლელად. ამ უმაღლეს სასწავლებელში მკაცრი წესებია და არც პირობები ჰგავს უილიამისთვის ჩვეულ სამეფო სასახლეებისა და ციხე-დარაბების ფუფუნებას. აქ არის სპორტის ნებისმიერი სახეობისთვის განკუთვნილი დარბაზები, მოედნები და აუზები. ისე რომ უილიამსს თავისუფლად შეეძლება თავის საყვარელ ცურვასაც მიჰყვეს, წყალბურთსაც, ფეხბურთსაც და რაგბისაც. მის განკარგულებაშია ცალკე აპარტამენტები უნივერსიტეტის ერთ-ერთ შენობაში, რომლებიც სანებელელი, სასადილო და საბაბაზანო ოთახებისგან შედგება. მოწყობილობა სპორტანულია, არაფერი ზედმეტი. არავითარი სპარსული ხალიჩები, ფარდები, სურათები და ფუფუნების საგნები. პრინცმა დაყინებით მოითხოვა, მეც ისეთივე პირობებში უნდა ვიცხოვრო, როგორშიც სხვებმაო. ისე რომ მამამისი იძულებული იყო, უარი ეთქვა შვილისთვის იქვე სიახლოვეს ცალკე სახლის დაქირავებაზე.

რაც შეეხება მეცადინეობას, აქ სამეფო ოჯახის შთამომავალს გარკვეული უპირატესობა აქვს. უნივერსიტეტში პირველ წელს სხვა საისტორიო საგნებს შორის იტალიური აღორძინების ეპოქასაც სწავლობენ. უილიამის ბებია ელისაბედ II კი დიდი ლეონარდო და ვინჩის ნახატების მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლექციის პატრონია. მეორე სემესტრი რუბენსის, რემბრანდტის, ვერმეერისა და ვან დეიკის შემოქმედებას მოიცავს. დედოფალს ამ მხატვართა ორიგინალებიც აქვს.

მანამდე წყნარი წმინდა ენდრიუს უნივერსიტეტი უკვე მოემზადა იმ ხმაურისთვის, რომელიც გარდაუვალად მოჰყვება ვინძორთა დინასტიის ყველაზე სიმპათიური წარმომადგენლის მოსვლას. ცნობილია, რომ ნორმალური მეცადინეობის უზრუნველყოფად პირად მცველებს დახმარების მიზნით ქალაქ ფიფის კომისარიატის პოლიციელები გამოუყვეს, მაგრამ მათი სიმცირის გამო წესრიგის დამცველებმა ლონდონს დამატებითი ძალები მოსთხოვეს. საბოლოო ჯამში მომავალი სტუდენტის უსაფრთხოება დამატებით 115 ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდება. ამასობაში ამ უმაღლესი სასწავლებლის პოპულარობა მკვეთრად გაიზრდება. უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ ერთბაშად 44 პროცენტით მოიმატა. მათ უმრავლესობას გოგონები შეადგენენ, რომლებიც, როგორც ჩანს, პრინცესობაზე ოცნებობენ.

ამას წინათ ელისაბედ II-ს ქვეშევრდომებმა ვინძორთა სამეფო სახლის წევრებს "ნიშნები" დაუწერეს საგანში "სარგებლობა". საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით ფრიადოსნები გახდნენ უილიამი და დედადედოფალი, რომელიც შარშან ზუსტად 100 წლის გახდა. შეფასების ათბალიანი სისტემის მიხედვით, დედოფალმა 6,7 ქულა დაიმსახურა, მისმა შვილიშვილმა კი – 7,4.

მერწყულმა შავი სანთელი დაანთოს, ლრიანკალმა კი - წითელი



დაანთებ ოთახში სანთელს და უმალ ყველაფერი იცვლება. საქმე ის კი არ არის, რომ მის შუქზე ჩვეული საგნები სხვანაირი მოჩანს, ადამიანთა სახეები კი თითქოს რაღაც იდუმალებას იძენს. ანთებულ სანთელში კიდევ არის რაღაც – თვალისთვის შეუმჩნეველი. მექსიკელები, მაგალითად, დარწმუნებულები არიან, რომ ვისაც უნდა, სულიერი სიმშვიდე მოიპოვოს და ყოფით უსიამოვნებებს დაადწიოს თავი, ნაირფერ სურნელოვან სანთლებს უნდა მიმართოს.

მექსიკის თითქმის ყველა ქალაქში არის მაღაზიები, სადაც ასეთი სანთლები იყიდება. იქვე გირჩევენ და დაწვრილებით აგიხსნიან, როდის რომელი სანთელი უნდა დაანთოთ.

სანთლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახში სასიამოვნო აურის შესაქმნელად, – ასე მიაჩნიათ მექსიკელებს, რომლებიც ამის დასადასტურებლად ქვეყანაში ცნობილი ასტროლოგისა და მედიუმის ხოსე ტელიასის მოსაზრებებს იშველიებენ. მაგრამ ამასთან, იმისდა მიხედვით, თუ რა ფერისაა, სანთელს ინდივიდუალური თვისებები გაჩნია და ამდენად ერთი გარკვეული ზოდიაქოს ნიშნისთვისაა რეკომენდებული.

თეთრი სანთლების დანთება მაგალითად, ყველაზე უკეთესია ორშაბათობით, ისინი მთვარის ენერგიას იზიდავს და კირჩხიბის თანავარსკვლავედის ქვეშ დაბადებულებისათვის არის კარგი.

წითელი სანთლები სასიკეთოდ მოქმედებს ჯანმრთელობაზე, აძლიერებს ადამიანის ენერგეტიკულ ველს და ძალაუფლებას მატებს მას. მათი დანთება სამშაბათობით არის კარგი ლრიანკალისა და ვერძის ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის.

ნარინჯისფერი სანთლები ხელს უწყობს შემოქმედებით პროცესებს, ეხმარება ჰარმონიისა და სულიერი წონასწორობის მიღწევაში. მათი ზემოქმედება ოთხშაბათობით არის ყველაზე ძლიერი, განსაკუთრებით იმათთვის, ვისი ზოდიაქოს ნიშანი ტყუპებია.

იასამნისფერი სანთლები წარმატებას უქადის ადამიანს, აძლიერებს მის ინტუიციას, დამოუკიდებლობას. მათი დანთება ოთხშაბათობით არის რეკომენდებული მათთვის, ვინც ქალწულის ნიშნის ქვეშ დაიბადა.

ცისფერი სანთლები ოჯახში ჰარმონიის, სიმშვიდისა და თანხმობის მიღწევაში ეხმარება ადამიანებს. როცა ცისფერი სანთლები ანთია, ურთიერთგაგების მიღწევაც უფრო ადვილია და მოთმინების გამოჩენაც. ასეთი სანთლები განსაკუთრებით ხუთშაბათობით და შაბათობით არის აუცილებელი მშვილდოსნის, თევზების, თხის რქისა და მერწყულის ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის.

შავი სანთლები, ფერის მიუხედავად, უარყოფითი ენერგიის განდევნაში, დისკომფორტის მოხსნაში გვეხმარება. მათი დანთება თხის რქისა და მერწყულისთვის არის რეკომენდებული შაბათობით.

ვარდისფერი სანთელი რომანტიკული გრძნობების, მეგობრობის, სიყვარულისა და სინაზის სიმბოლოა. მათ დანთებას ურჩევენ ყველას - განურჩევლად ზოდიაქოს ნიშნისა და თანაც კვირის ნებისმიერ დღეს.

მწვანე ფერის სანთელი მგრძნობელობას აძლიერებს, ჰარმონიის, წარმატების მიღწევაში ეხმარება ადამიანს და შურსა და ეჭვიანობას განდევნის.

ყვითელი სანთლები კომერციულ საქმიანობაში, შემოქმედებით ჩანაფიქრებში წარმატების მიღწევას გვიქადის, აძლიერებს სხვათა ნდობის მოპოვების უნარს. ყვითელ სანთლებს ლომის ნიშნის ქვეშ დაბადებულები უნდა ანთებდნენ კვირაობით.

● როცა ძალიან ცხელა, მაცივრის ეფექტიანობა ეცემა, ამიტომ მაცივრის უკან მომცრო ვენტილატორი უნდა დადგა.

● ხელით ქსოვისას ტრიკოტაჟის სხვადასხვა ფერის ძაფები არ გადაიხლართება, თუ მათ წვრილი მავთულისაგან გაკეთებული მარტივი მოწყობილობის ნახვრეტებში გაატარებ.



● თუ სამხრეკიდს დამატებით ხარიხას გაუკეთებ, ამით საგრძნობლად გაზრდი ტანსაცმლის კარადის "ტევადობას".



● ჩვეულებრივი ნასვრეტებიანი პლასტმასის ბუზსაკლავი კედელსა და ავეჯზე სველ კვალს ტოვებს ხოლმე. უმჯობესია, მის ნაცვლად თხელი პოროლონის (3 მმ. სისქის)



თვითნაკეთი ბუზსაკლავი გააკეთო.

● ბურთულიანი ავტოკალმის საწერი კვანძი ზოგჯერ ისეთი კარგი გამოდგება, რომ გადაგდება



დაგენანება. თუ შენც ასე დაგემართა, გამოაძრე იგი დაცლილი ღეროდან და ახალს გაუკეთე. შეჩვეული კვანძი კიდევ დიდხანს მოგემსახურება.

● ნივრის წებო ურიგოდ როდი



აწებებს მინასა და პლასტმასას. მისი მეშვეობით შეგიძლია საიმედოდ მიამაგრო მინა მაჯის საათის კორპუსს. შეწებების ადგილი გამჭვირვალე რჩება.

● თუ ველოსიპედი გაქვს, სეირნობისას ჯიბეში გედოს სამედიცინო პლასტირის ნაჭერი - იგი გახვრეტილი კამერის სახელდახელოდ დასაწებებლად უებარი საშუალებაა.

● ხის დეტალებს წებო გაცილებით უკეთ დაიჭერს, თუ ზედაპირებს შორს წებოთი დასველებულ ბამბას მოათავსებ. გარეთ დარჩენილი ბამბის ნაწიბურები სამართებლით ჩამოჭერი.

● თუ კარს (ან ფანჯარას) ისეთ საკეტელას გაუკეთებ, რომ



გორიც ნახაზზეა ნაჩვენები, ორპირი ქარისა ნუდარ გეშინია, კარი თავისით არ მიიხურება. საკეტელასათვის 2-3 მმ სისქის ფოლადის მავთული გამოგადგება.

● ვიდრე ვაზნაში ჩადუღებულ ელექტრონათურას ამოხრახნიდე, ქვემოდან პოლიეთილენის



პარკი ამოაცვი. ზედმეტი ძალდატანებისაგან ნათურა თუნდაც გატყდეს, ნამსხვრევები პარკში ჩაცვივა და სახესა და თვალებს არ დაგიზიანებს.

● დაღლილმა დედამ ბინაში შესვლისას ხელი რომ მოინაცვლოს და კარი იოლად გააღოს, ხელჩანთის ჩამოსაკიდებლად კარზე ასეთი კაუჭი მიუჭედე.



● ქვაბის თავსახურმა რომ ხელი არ დაგწვას, ყურში კორპი გაუყარე.

● ორი ასეთი კუთხურა თარო წამდაუწუმ სახმარი წიგნების მაგიდაზე შესანახად მისწრებაა.

იწილო–მიწილო

კროსვორდი



თარაგზულად: 1. მგალობელი ფრინველი; 3. სპორტული თამაში; 5. გარეული ფრინველი; 8. საარტილერიო ქვეგანაყოფი, რომელსაც აქვს რამდენიმე ქვემეხი; 11. სასვენი ნიშანი; 12. მარადმწვანე წიწვიანი ხე; 14. მომღერალთა გუნდი; 15. ტროპიკულ ამერიკაში გავრცელებული მახრჩობელა გველი; 16. თმის საღებავი; 17. იაპონური ფულის ერთეული; 18. ახიის ქვეყანა; 20. მტაცებელი ფრინველი; 21. ძვირფასი ქვა; 22. საქართველოს მდინარე; 26. თვალის ფერადი გარსი; 28. კავკასიონის მწვერვალი.

შვეულად: 2. გეომეტრიული სხეული; 3. ინდური ფულის ერთეული; 4. ლატვიის ქალაქი; 6. ძვირფასი ლითონი; 7. ე. ნინოშვილის "ბალიასტომის ტბის" პერსონაჟი; 8. დეკორატიული მცენარე; 9. სუბტროპიკული მცენარე. 10. ბალახოვანი ტროპიკული მცენარე; 11. მზის სისტემის პლანეტა; 13. გარეული ცხოველი; 19. წვრილფოთლოვანი მარადმწვანე მცენარე; 23. განათებულობის საზომი ერთეული; 24. ბოსტნეული მცენარე; 25. საბრძოლო იარაღი ძველად; 27. სპორტული პრიზი; 29. ფირნიში.



ხელის აუღებლად შემოატარე ფანქარი, ისე რომ ერთ ადგილას ხაზი ორჯერ არ გაატარო.



თანმიმდევრობით შეაერთე ციფრები

იპოვე 7 განსხვავება

დიდი და პატარა ვარსკვლავები

ქეთა თოფურია 14 წლისაა, დაიბადა 1986 წლის 9 სექტემბერს. სულ პატარა იყო, როცა მშობლებმა სიმღერაზე მიიყვანეს. მოუსმინეს, ხმაც შეუმოწმეს, სმენაც, რიტმის გრძნობაც და ყველაფერი მოუწონეს. 8 წლიდან ოთარ ტატიშვილის მოწაფეა. ბევრნაირ სიმღერას მღერის - როკს, ჯაზს, სოულის, ტრადიციულ ქართულ საესტრადოს. მღერის სიყვარულზე, სამშობლოზე, ბუნებაზე. იცის, რომ ახალგაზრდებს, მოზარდებს ჩქარი, რიტმული მუსიკა მოსწონთ და ძალიან უნდა ასეთი სიმღერებიც ჰქონდეს რეპერტუარში.

პროფესიონალები - კომპოზიტორები, მომღერლები, მუსიკათმცოდნეები მაღალ შეფასებას აძლევენ ქეთა თოფურიას და მიაჩნიათ, რომ მუსიკალურობის, კარგი ალნაგობის, სცენურობის, ალღოს, ნიჭიერების და შრომისმოყვარეობის წყალობით იგი საუკეთესო მომღერლად ჩამოყალიბდება. დღესდღეობით კი მასთან სიამოვნებით მუშაობენ კომპოზიტორებიც და მომღერლებიც. სპეციალურად ქეთა თოფურიას და დათო გომართელის დუეტისთვის დაწერა ოთარ ტატიშვილმა "დამის ბლიუზი". საკუთარი სიმღერა აჩუქა მას მამუკა ჩარკვიანმა, მაგრამ თვით ქეთას თხოვნით, მათ ეს სიმღერა ერთად შეასრულეს. ქეთას პარტნიორები არიან აჩი ფურცელაძეც, კოტე ჩუმაშვილიც. ამჟამად კი იგი ეთერ კაკულიასთან ერთად ამზადებს დუეტს.

ქეთა თოფურიას შემოქმედებითი გამარჯვებების ნუსხაში უკვე მრავლად არის სხვადასხვა კონკურსებსა თუ ფესტივალებზე მიღწეული წარმატებები: 1996 წ. - "ოქროს სიმების" ლაურეატი; "მის კონკურსის" წოდება ფესტივალზე "მიმღერე რამე"; "ტოპ-მოდელობა"; 1998 წ. - "გაზაფხულის ფერიას" წოდება, პირველი ადგილი უმცროსი თაობის მომღერლებში სოჭის საერთაშორისო ფესტივალზე; "გაზაფხულის" ფესტივალზე მოპოვებული ოთხი სიგელი: საუკეთესო ვოკალი, საუკეთესო უცხოური სიმღერა, ჟიურის თავმჯდომარის პირადი სიმპათია, მაყურებლის სიმპათია; სამანეკენო თეატრ-სტუდიის წითელი დიპლომი "საუკეთესო მოსწავლე"; "ოქროს ვარსკვლავი" კონკურსში "ვარსკვლავთ ბილიკზე". ეჭვი არ არის, ეს ჩამონათვალი დროთა განმავლობაში კიდევ და კიდევ შეივსება.

ქეთას ძალიან უყვარს:

სიმღერა;

მეგობრებთან ურთიერთობა;

თავისი ძაღლი "ჩემპი";

არ უყვარს:

ლოდინი;

უყვარს ხაჭაპური;

არ უყვარს ჭამა.

მისი აზრით:

ადამიანურ ურთიერთობებში მთავარი სიკეთე და მეგობრობაა, მეგობარი უნდა იყოს ერთგული, უღალატო, გულწრფელი;

სილამაზე ღვთისგან ბოძებული დიდი ჯილდოა;

სიყვარული ყველა ადამიანშია, მას შესაბამისი გამოხატვა სჭირდება, თორემ ისე ცარიელი სიტყვაა.